წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი“-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 ნახევარ საათამდე. პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

კვირა, 17 იანვარი 1932 წ.
ყოველდღიური გაზეთი
№ 15 (3269) ფასი 5 კაპ.

დღიური

— სპარსეთ - საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა მტკიცეა.
— [illegible] ზრდა გერმანიაში.
— „[illegible]“ მიაკუთვნეს [illegible] გლობათა რიცხვს.
— გარდაიცვალა ამხ. ი. ლარინი.

ს. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის XIV კონფერენცია

პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვება და თბილისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

ამხ. პ. მელაძის მოხსენება*)

III. საქალაქო მეურნეობა, მუშათა მომარაგება და კადრები

თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტი

ჩვენი მშენებლობის საერთო სურათს საქალაქო მეურნეობის დარგში გვაძლევს თბილისის საბჭოს ბიუჯეტი.

ქალაქის ბიუჯეტი დაახლოებითი ცნობებით (სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა გამოკლებით) 1931 წელს გაიზარდა 35.813 ათას მანეთამდე, 1924-25 წელს კი უდრიდა 8.100 ათას მანეთს.

ომის წინა დროის ბიუჯეტი ივსებოდა უმთავრესად ქალაქის უძრავი ქონების დაბეგვრით (შეფასებითი გადასახადი), რომელიც მძიმე ტვირთად აწვებოდა მშრომელ მასებს.

ეხლა კი ბიუჯეტის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს შემოსავალი ქალაქის ფონდებისა და კომუნალურ საწარმოებიდან, რომელთა ხვედრითი წონა ადგილობრივ ბიუჯეტში 1929-30 წელს შეადგენდა 33,5 პროც., 1931 წელს კი—45,2 პროც.

საგადასახადო შემოსავალი 1929-30 წელს შეადგენდა 35,8 პროც., 1931 წელს—35,4 პროც.

დანარჩენი შემოსავალი (სესხები, ანარიცხები სახელმწიფო შემოსავლიდან და სხვ.) 1929-30 წელს შეადგენდა 21,4 პროც., 1931 წელს—17,5 პროც.

ამრიგად ქალაქის ბიუჯეტის ზრდა სწარმოებს უმთავრესად არასაგადასახადო შემოსავლის ხარჯზე.

გასავალში პირველი ადგილი უკავია ხარჯებს სოციალ-კულტურულ საჭიროებისათვის, ამ ხარჯების ხვედრითი წონა 1931 წლის ბიუჯეტში შეადგენს 42,2 პროც.

შემდეგ მიდის ხარჯები სახალხო მეურნეობის ხაზით, რომელთა ხვედრითი წონა საგრძნობლად იზრდება—1929-30 წელს შეადგენდა 32,3 პროც., 1931 წელს—37,2 პროც.

ადმინისტრატიულ-სახამართლო ხარჯების ხვედრითი წონა შემცირდა: 1929 წელს შეადგენდა 7,4 პროც., 1931 წელს კი—5.4 პროც.

მუშათა მომარაგება

გადავდივარ, ამხანაგებო, მუშათა მომარაგების საკითხზე

ამხ. სტალინმა სამეურნეო მუშაკთა თათბირზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ნათლად და მკაფიოდ სთქვა, რომ

„მუშების საწარმოებში შესანარჩუნებლად საჭიროა მუშების მომარაგებისა და საბინაო პირობების კიდევ შემდგომი გაუმჯობესება შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ საბინაო მშენებლობისა და მომარაგების დარგში ცოტა არ გაკეთებულა უკანასკნელ წლების განმავლობაში, მაგრამ ის, რაც გაკეთდა სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მუშების სწრაფად გაზრდილი მოთხოვნილებანი“...

აი სწორედ ეს ამოცანა—მუშების სწრაფად გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება—პარტიამ გაიხადა ამ პერიოდში თავის ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად.

როგორ მიმდინარეობდა პრაქტიკულად ჩვენში მუშების გეგმიანი მომარაგება?

თუ პირველ კვარტალში ყველა სამი სიის მიხედვით თბილისში გეგმიან მომარაგებაზე ითვლებოდა 80.674 მუშა, მე-4 კვარტალში ეს ციფრი აღწევს 88.323, ე. ი. დიდდება 9,5 პროცენტით, თუ ჩვენ მივმართავთ ცალკე სიებს, დავინახავთ, რომ მდგომარეობა კიდევ უკეთესია. ასე, მაგალითად, 1-ლ კვარტალში 1 სიით ირიცხებოდა 14.790 მუშა, მეოთხე კვარტალში კი—25.923 კაცი, ე. ი. გვაქვს 75 პროცენტით ზრდა.

№ 2 სიით 1 კვარტალში დადგენილი იყო მომარაგებაზე 13.884 მუშის აყვანა, მე-4 კვარტალში—37.987 კაცის, ე. ი. გვაქვს ზრდა 173 პროცენტით.

რაც შეეხება სავაჭრო ქსელს, უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მაისის მიმართვის შემდეგ თბილისში სულ გახსნილ იქნა 22[illegible] ახალი მაღაზია, დუქანი და ფარდული.

1 ივლისისათვის ჩვენ გვქონდა დახურული სასადილოები, სასკოლო ბუფეტები და დანარჩენი წერტილები სულ 113, მიმდინარე წლის პირველ იანვრისათვის მათი რიცხვი უდრიდა 190.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ჩვენ დიდი დეფექტები გვაქვს მუშათა მომარაგების საქმეში:

1. შემჩნეულია, რომ სავაჭრო ორგანიზაციები ზოგჯერ ნამდვილად არ ზრუნავენ მომხმარებლისათვის ვერ იჩენენ ინიციატივას მუშაობაში.

ამ მოვლენის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს თუნდაც პურითა და ნავთით მომარაგების ისტორია. პურითაც და ნავთითაც თბილისი რაოდენობის მხრივ სავსებით მომარაგებული იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ამას წინად ქალაქში რიგები გვქონდა. რაშია საქმე? ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მოუგვარებელია პურისა და ნავთის განმანაწილებელ პუნქტზე დროზე მიტანის ორგანიზაცია, ნავთის ჩამოტარებით ვაჭრობის ორგანიზაცია.

თბილისის კომიტეტმა ამის გამო დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, როგორც, მაგალითად—ტრანსპორტის მოწყობა, წერტილების ქსელის გაფართოება და სხვ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა პურის საკითხის შესახებ არ შეასრულეს ეს ღონისძიებანი, მათ დაიწყეს ლაპარაკი ამ ღონისძიებათა შესრულების სიძნელისა და შეუძლებლობის შესახებ.

გადაჭრით ვაცხადებთ, რომ იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც არ გადასულან მუშაობის ახალ მეთოდებზე, ჩვენ შევცვლით ისეთი ხალხით, რომელთაც ხელმძღვანელობის უფრო მეტი უნარი აღმოაჩნდებათ ახალ ვითარებასა და ახალ პირობებში.

2. უმსგავსო მდგომარეობა გვაქვს საცალო ფასების დაწესების საკითხში. ამ მხრივ სრულიად არ არის საგრძნობი მომარაგების სახალხო კომისარიატის ორგანოების მომწესრიგებელი გავლენა.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ამას წინად ჩატარებული გამოკვლევის მასალიდან: თუშური ყველი იყიდებოდა ერთსა და იმავე დღეს შემდეგ ფასებში: ა.-კ. კოოპპროდუქტის № 14 მაღაზიაში კილო 10 მანეთად, იმავე ა.-კ. კოოპპროდუქტის № 45 მაღაზიაში—9 მ. 50 კაპიკად, შერეკოოპის № 2 მაღაზიაში—9 მანეთად, საქართველოს მთიელთა კულტურული საზოგადოების მაღაზიაში—11 მან. 25 კაპიკად.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ნეპმანური, ჩარჩული სულისკვეთება ჯერ კიდევ არ არის განდევნილი ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციებიდან, პირველ რიგში, ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციიდან.

3. ადგილი აქვს ფონდების განიავებას.

მაგალითად გეგმით მეოთხე კვარტალში პირველი სიით უნდა დაეკმაყოფილებიათ 70.227 მუშა და მათი ოჯახის წევრი, ფაქტიურად კი გაცემული იყო სასურსათო წიგნაკი 77,101 კაცზე.

№ 3 სიით მომარაგებაზე უნდა აეყვანათ 24.413 მუშა, წიგნაკები კი გაცემულ იქნა 53.853 მუშაზე.

ყველა სამი სიის მიხედვით მომარაგებაზე თბილისში აყვანილია 378 ათასი სული.

ბუნებრივია, რომ აქ ადგილი აქვს მომარაგების სიების უწესოდ შედგენას, საწარმოთა სამკუთხედების არასერიოზულ მიდგომას თავიანთი მოვალეობისადმი.

4. მეტად ცუდი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებებისა და მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებების მიერ საბჭოთა ვაჭრობის გაშლის ხაზით.

მიუხედავად დირექტივებისა ამ საკითხის შესახებ, ხსენებულ ორგანიზაციებს ჯერ არაფერი გაუკეთებიათ პრაქტიკულად თავიანთი პროდუქციით ვაჭრობის გაშლის მხრივ, მათ არ გაუხსნიათ არც ერთი ახალი სავაჭრო წერტი.

აგრეთვე მეტად სუსტად მიმდინარეობს სარეწაო კოოპერაციის სავაჭრო ქსელის გაშლა.

საკოლმეურნეო ვაჭრობის დარგში ცალკე ფაქტები მოწმობენ, რომ ადგილი აქვს პარტიის პოლიტიკის დამახინჯებას. ცალკე კოლმეურნეობები სცდილობენ გაიტანონ ბაზარზე პროდუქცია და არ შეასრულონ თავიანთი საკონტრაქტაციო ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე.

თავიანთი პროდუქციის რეალიზაციას კი ისინი ახდენენ არა ფასების საბჭოთა პოლიტიკის საფუძველზე, არამედ კერძო ბაზრის სპეკულიანტურ ფასების მიხედვით.

5. ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები უმატებენ დამზადების ფასებს, როცა ისინი გამოდიან დამამზადებელ ბაზარზე, არღვევენ დასაქონლიანების პირობებს, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში მიმართავენ საქონლის უშუალო გაცვლის ოპერაციებს, როგორც ეს ჩაიდინეს ტრამვაიელ მუშათა დახურულმა კოოპერატივმა, სარემონტო ქარხნის სატრანსპორტო სამომხმარებლო კოოპერაციამ და სხვებმა. პარტიის ხაზის ასეთი დარღვევა დამზადების დარგში ქმნის არეულობას ბაზარზე და იწვევს დამზადების ჩაშლას, მუშათა მომარაგების ჩაშლას.

6. მუშათა რაიონებში და განაპირა უბნებში სავაჭრო ქსელი მეტად სუსტად არის გაშლილი. დამახასიათებელი მაგალითი: სტუდენტთა ქალაქში, სადაც მოსახლეობა რამდენიმე ათასს აღემატება, როგორც ირკვევა, უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა პურის არც ერთი წერტი.

7. ხარისხის მხრივ სასადილოების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი, კერძოდ, სადილების ხარისხი საგრძნობ გაუმჯობესებას საჭიროებს, სასადილოების სანიტარული მდგომარეობაც იმგვარია, რომ აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

მეორეს მხრით, საზოგადოებრივი კვების ქსელს არ ამოუწურავს ის შესაძლებლობანი, რომლებიც მას მოეპოება თვითდამზადების განვითარებისათვის, დამხმარე საწარმოთა გახსნისათვის და სხვ...

აი, საერთოდ, ის ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს მუშათა მომარაგების დარგში.

მორიგი ამოცანები

1. უნდა გაჩაღდეს გადამწყვეტი ბრძოლა ნეპმანური სულის, ჩარჩობის, მოგების გამოდევნების, საცალო ფასების თვითნებურად დაწესების წინააღმდეგ.

2. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მუშათა მომარაგების არსებული ფონდის განიავებას, საქონლის ბრუნვის გაყინვას, საქონლის გაფუჭებას.

3. უნდა მივაღწიოთ არსებით გარდატეხას საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებათა, სარეწაო კოოპერაციის და მსუბუქი მრეწველობას გაერთიანებათა, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში, აგრეთვე საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებაში, ფასების საბჭოთა პოლიტიკის საფუძველზე.

4. ყოველნაირად შეუწყოთ ხელი მუშათა ცალკე დახურულ კოოპერატივების და სასადილოების თვითდამზადების განვითარებას.

5. ძირშივე აღვკვეთოთ სამომხმარებლო კოოპერაციის ცალკე რგოლების, მათ შორის მუშათა ცალკე დახურული კოოპერატივების და სასადილოების, დამზადების ბაზარზე დეზორგანიზატორული გამოსვლის ცდები, დავრაზმოთ მუშათა ფართო მასების ყურადღება საბჭოთა ვაჭრობის გაშლის და მუშათა მომარაგების გაუმჯობესების გარშემო.

6. განვამტკიცოთ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების აპარატი საუკეთესო მუშაკებით და გავწმინდოთ კოოპერატიული და სავაჭრო ორგანიზაციები კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან.

7. მუშათა მომარაგების გაუმჯობესების საკითხები მოვაქციოთ პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

სოფლის მეურნეობა

(საგარეუბნო რაიონი)

თბილისის საგარეუბნო რაიონში არის 18 სასოფლო საბჭო, მისი მოსახლეობა აღწევს 36.000 კაცს. რაიონის მიწის მასივი უდრის 91,810 ჰექტარს, აქედან კულტურული მიწის ფართობი შეადგენს 28,752 ჰექტარს, კულტურული მიწიდან 1931 წელს სულ დამუშავდა 15,771 ჰექტარი.

რაიონში არის 7.700 გლეხური მეურნეობა, აქედან საკოლმეურნეო სექტორში — 2.400 ანუ 32 პროც.

კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 4.200 ჰექტარი მიწა, რაც შეადგენს მთელი სახნავი მიწის 20 პროცენტს, განსაზოგადოებულია: მსხვილფეხა მუშა პირუტყვი — 1.745 სული არსებულ 7.194-დან, ე. ი. 24,3 პროც. ძროხა 574, სულ 7394-დან, ე.ი. 7,8 პროც. ცხვარი და თხა—10,879 სული 41-023-დან, ე.ი. 26,6 პროც., ღორი — 1.336-დან—603, ე. ი. 44,1 პროც.

რაიონში არის 9 საბჭოთა მეურნეობა, აქედან სარძეო მიმართულების—7 და მებოსტნეობის—2, სულ საბჭოთა მეურნეობებს უჭირავთ—9.273 ჰექტარის კულტურული მიწა, მათ ყავთ: სარძეო პირუტყვი—1.621 ძროხა, ცხვარი—5.100 სული, ღორი—814-ს და ფრინველი—5.988-ს.

ინდივიდუალურ მეურნეთა ხელში არის 15.279 ჰექტარი კულტურული მიწა, რაც შეადგენს 53,1 პროცენტს.

საგარეუბნო რაიონის სასოფლო მეურნეობის მთავარი დარგია მარცვლეული მემინდვრეობა (70 პროც.), მემინდვრეობასთან ერთად განვითარებულია, თუმცა სუსტად, მებოსტნეობა (რაიონის მთელი ფართობის პრ-მდე). რაიონის სასოფლო მეურნეობის დარგში გვაქვს მთელი რიგი მიღწევები:

1. ნათესის ფართობის გადიდება 1930 წელთან შედარებით 3.771 ჰექტარით ერთ წელიწადში, აქედან ბოსტნების ფართობის—1.128 ჰექტარით.

2. კოლექტივიზაციის ზრდა 32 პროცენტით 1931 წელს 1930 წლის 20 პროცენტის ნაცვლად.

3. პირუტყვის რაოდენობის გადიდება, მაგალითად, ძროხის,—1.250 სულით.

4. სარძეო-სასაქონლო ფერმების მოწყობა კოლმეურნეობებში.

5. სპეციალური საბჭოთა მეურნეობის მოწყობა უკანასკნელ ორ წელს.

ამ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს მთელი რიგი სერიოზული დეფექტები. სახელდობრ:

1. რაიონის საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია; არ არის საბრუნავი თანხები, არ მოიპოვება ტრაქტორების საჭირო რაოდენობა, მშენებლობა კატასტროფიულ მდგომარეობაშია არ არის საკვები ბაზა, ცუდათაა დაყენებული მუშების მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით, რაც იწვევს მუშახელის ხშირ ცვალებადობას; არ არის გატარებული ნამდვილი სამეურნეო ანგარიში, ერთმართველობა, საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში არ არის აღმოფხვრილი გაუპიროვნება და გათანაბრება.

2. რაც შეეხება კოლმეურნეობებს, პირველ ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს შრომის ორგანიზაციის მეტად სუსტი მოგვარება (სანარდო სისტემა ფორმალურადაა გატარებული, შრომის აღრიცხვა მოუწესრიგებელია, ადგილი აქვს გაუპიროვნებას და გათანაბრებას), საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება ტრაქტორები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, არ ყავთ ანგარიშის დარგის მუშაკები, მოუწესრიგებელია საზოგადოებრივი კვება, არ სწარმოებს კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა, ქალის შრომა მეტად სუსტადაა გამოყენებული, ფორმალურად ტარდება სოციალისტური შრომის ახალი მეთოდები —სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა და სხ.

3. ღარიბთა ჯგუფებთან მუშაობის შესახებ უნდა ითქვას, რომ რაიონის ზოგიერთ ნაწილში ეს ჯგუფები სრულიად არ არის მოწყობილი, ხოლო იქ, სადაც ისინი არსებობენ, მათთან მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული.

4. სოფლის კეთილმოწყობის საკითხები დღემდე არ მდგარან დღის წესრიგში. თბილისის საბჭო საკმაო ყურადღებას არ აქცევს ამ საკითხებს (გზა, წყალსადენი, კანალიზაცია, ჯანმრთელობის დაცვა, ტელეფონიზაცია, ელექტროფიკაცია და სხ.).

რამოდენიმე სიტყვა 25 კილომეტრიან ზონაზე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილება გვეუბნება, რომ მსხვილმა სამრეწველო ქალაქებმა 25 კილომეტრიანი ზონის ფარგლებში უნდა შექმნან საგარეუბნო მეურნეობანი. 25 კილომეტრიანი ზონის შექმნა ჩვენთვის წარმოადგენს ძირითად ამოცანას საგარეუბნო რაიონის რეკონსტრუქციის საქმეში.

ვინაიდან თბილისის რაიონში მოსარწყავი მიწები არ მოიპოვება, ამ დირექტივის განსახორციელებლად საჭირო ხდება მუშაობის გადატანა რაიონების ნაწილში (მცხეთის, ყარაიას, ასურეთ - მანგლისის და გარე - კახეთის რაიონები).

25 კილომეტრიანი ზონის გამოყენების შემდეგ რაიონი ასეთ სახეს მიიღებს:

რაიონის მოსახლეობა იქნება 61.000 კაცი 36.000-ნაცვლად, კულტურული მიწა — 62.250 ჰექტარი 28.750 ჰექტარის ნაცვლად, აქედან ბოსტნებისათვის მოირწყვება 7.900 ჰექტარი 2.000 ჰექტარის ნაცვლად. ორ-სამ ჯერ გადიდდება საერთო პროდუქცია.

პლენუმის აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად და სოფლის საბჭოებისათვის კონკრეტული ხელმძღვანელობის გასაწევად სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე რეკონსტრუქციის და განვითარების საქმეში, —ცენტრალურმა კომიტეტმა და თბილისის კომიტეტმა გამოიტანეს გადაწყვეტილება საგარეუბნო რაიონის დამოუკიდებელ პარტიულ და საბჭოთა ერთეულად გამოყოფის შესახებ. ეს საშუალებას იძლევა გაუმჯობესებულ იქნას საგარეუბნო რაიონის ხელმძღვანელობა, რომელიც დღემდე მეტად ცუდად ხორციელდებოდა.

მორიგ ამოცანებს საგარეუბნო მეურნეობის დარგში წარმოადგენენ:

1. ძველი პარტიული ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ „მოიმემარცხენო“ შეცდომების უსწრაფესი ლიკვიდაცია, კერძოდ 1932 წლის გეგმების დაზუსტება კოლმეურნეობათა ნამდვილი საწარმოო შესაძლებლობის გათვალისწინების საფუძველზე.

2. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება.

3. სოფლის კეთილმოწყობა (გზების გაყვანა, ტელეფონიზაცია, წყალსადენი და სხვ.).

4. ადგილობრივი სასოფლო - საბჭოების ხელმძღვანელობის და ყოველდღიური კონტროლის გაძლიერება იმ მხრით, რომ კოლმეურნეობებმა და ინდივიდუალურმა მეურნეობებმა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი სოციალისტურ სახელმწიფოს წინაშე.

5. ბრძოლა მოსავლიანობის გადიდებისათვის აგრო - ზოოტექნიკის დაუფლების საფუძველზე.

6. საგარეუბნო რაიონის გადაქცევა 70 პროცენტით მარცვლეული კულტურების რაიონიდან ხილ - ბოსტან-რძის რაიონად, რომელმაც ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს თბილისის მუშების მოთხოვნილება.

7. სასოფლო მეურნეობის მექანიზაცია სამანქანო - სატრაქტორო სადგურის აუცილებელი ორგანიზაციის საფუძველზე.

8. მელიორაციის და ირიგაციის პრობლემის გადაჭრა (სამგორი, სოღანლუღი, დილომი, ნატახტარი, წეროვანი), კერძოდ მოსარწყავ მინდვრებზე (სოღანლუღი) ქალაქის უსუფთაობის გატანის საკითხის გადაჭრა.

9. საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობებში არსებული დეფექტების აღმოფხვრა და ამ მეურნეობათა ნაწილის გადაქცევა სანიმუშო-საჩვენებელ მეურნეობებად.

10. შრომის სწორი ორგანიზაცია, გაუპიროვნების და გათანაბრების ლიკვიდაცია, სამეურნეო ანგარიშის განხორციელება საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მუშაობაში.

11. სასოფლო საბჭოების, კერძოდ ღარიბთა ჯგუფების ხელმძღვანელობის გაძლიერება.

12. საგარეუბნო ფართობის (25 კილომეტრიანი ზონის) გენერალური საპერსპექტივო გეგმის შედგენა.

13. საჭირო საშუალებათა გამოყოფა საბჭოთა მეურნეობებისათვის.

14. კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერება რაიონში, კადრების მომზადება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

კადრები

რამდენიმე სიტყვა, ამხანაგებო, კადრების შესახებ.

თუ რა მნიშვნელობას აძლევენ ჩვენი პარტია და ხელისუფლება კადრების მომზადების საქმეს, ეს იქიდანაც სჩანს, რომ 1932 წელს კადრების მომზადებისათვის მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გათვალისწინებულია 2.755 მილიონი მანეთის გადადება იმ 9 მილიარდი მანეთიდან, რომელიც უნდა დაიხარჯოს სოციალ - კულტურულ საჭიროებისათვის. ეს სავსებით გასაგებია რადგან, როგორც ამხ. სტალინი ამბობს, „მუშათა კლასმა უნდა შექმნას საკუთარი საწარმოო - ტექნიკური ინტელიგენცია, ვინაიდან ყოველ გაბატონებულ კლასს სჭირდება საკუთარი ინტელიგენცია“.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის და საკუთარი საწარმოო - ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის ხაზით უდავო მიღწევები გვაქვს საქართველოში, კერძოდ თბილისში.

ფართოდ არის გაშლილი კადრების მოსამზადებელი და გადასამზადებელი დაწესებულებათა ქსელი.

თბილისის იმ ტექნიკუმებსა, მუშფაკებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც მხოლოდ სამრეწველო კადრებს ამზადებენ, 1932 წლის 1-ლ იანვრისათვის 8.000 მოსწავლეზე მეტი იყო.

ამასთან კვალიფიკაციის აწევის მიზნით სწარმოებს გადამზადება სხვადასხვა მოკლევადიან პროფტექნიკურ კურსების, წრეების, სამშენებლო სასწავლებლების და დაუსწრებელი სწავლების სახით.

მაგრამ ამ დარგში არსებობს დიდი დეფექტები, რომელთაგან მთავარია შემდეგი:

1. ჩვენმა პარტიულმა, სამეურნეო და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა იმ დადგენილებათა საფუძველზე, რომლებიც მიიღეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის და შემდგომმა პლენუმებმა ტექნიკური კადრების მომზადების შესახებ ადგილი აქვს იმედის დამყარებას თვითმდინარეობაზე, რასაც აშკარად მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ შრომის სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო საგეგმო კომისიას დღემდე არ აქვთ შედგენილი შრომის ბალანსი, კერძოდ კადრების ბალანსი თბილისისათვის.

2. ჯერ კიდევ არ არის დანერგული გეგმიანობა კადრების მომზადების საქმეში; ძალზე ცუდათ არის დაყენებული მუშა-ხელზე მოთხოვნილების და მისი დაკმაყოფილების აღრიცხვის საქმე. კიდევ მეტი, ჩვენს დაწესებულებებს არ მოეპოებათ ელემენტარული ცნობები კადრების შესახებ. ასე, მაგალითად, ჩვენ ვერ მივიღეთ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ტეხნიკუმია თბილისში. ეს სირცხვილია, ამხანაგებო!

ჩვენ ვამზადებთ ინჟინრებს, ექიმებს და სხ., მაგრამ ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით რამდენი ექიმი და ინჟინერი გვჭირდება. ჩვენი ორგანიზაციები სათანადოთ არ ატარებენ მუშა ხელის გეგმიანად შეგროვების საქმეს. მაგალითად, 1931 წელს შრომის სახალხო კომისარიატმა თბილისის საწარმოებში გაანაწილა 21.000 მუშა, საგეგმო დავალებანი კი წარმოადგინა მხოლოდ 19 ორგანიზაციამ 10.000 კაცზე.

3. კადრების მოსამზადებელ წრეებში ბევრი ანებებს თავს მეცადინეობას; მაგალითად, გადასამზადებელ წრეებში ჩაბმულ 6000 კაციდან სწავლის დამთავრებამდე წავიდა 1.700 კაცი, ე. ი. 28,3 პროც.

4. საწარმოო პრაქტიკა ჩვენს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში და სხვა სასწავლებლებში არ არის დამაკმაყოფილებელი.

მაგალითად, სამთო მეტალურგიული ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ პრაქტიკაზე სადახლოში, მუშაობდნენ უპროგრამოდ და მხოლოდ პრაქტიკის უკანასკნელ დღეს მიიღეს პროგრამა.

5. ჩვენი დაწესებულების კადრების განყოფილებების მუშაკთა კვალიფიკაცია სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი.

მორიგი ამოცანები

1. კადრების მომზადების საქმეში უნდა შევიტანოთ გეგმიანობა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო ოპორტუნისტულ თვითმდინარეობას, დავაწესოთ კონტროლი და შესრულების შემოწმება კადრების მომზადების დარგში და ამ მიზნით გამოვიყენოთ მუშათა აქტივი ნებაყოფლობის საფუძველზე.

2. შესაფერ სიმაღლეზე ავიყვანოთ კადრების აღრიცხვის საქმე.

3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა თეორიული მომზადების და საწარმოო პრაქტიკის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

4. გადაჭრით უნდა დაჩქარდეს დეფიციტური პროფესიების მუშაკთა მომზადება.

5. მაღალი კვალიფიკაციის მუშა-ხელის მომზადების უზრუნველსაყოფად საჭიროა მცირე კვალიფიკაციის პროფესიების გადამზადების გაშლა.

6. მაქსიმალურად უნდა გავაძლიეროთ ქალთა კადრების მომზადება.

7. ყოველნაირად უნდა გავშალოთ კადრების მომზადება და გადამზადება ეროვნულ უმცირესობათაგან.

8. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მუშაობა უნდა გარდაიქმნას პირით წარმოებისაკენ, პირით კადრებისაკენ და ეს ორგანოები უნდა განმტკიცდნენ კვალიფიციური მუშაკებით.

9. უნდა გადაისინჯოს დაწესებულებათა კადრების განყოფილებების მუშაკთა შემადგენლობა და გაძლიერდეს ეს განყოფილებანი კვალიფიციური მუშაკებით.

10. კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმეში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მთლიანი ხელმძღვანელობა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მხრით.

IV. პროლეტარული ორგანიზაციების გარდაქმნის საკითხები და მათი მასიური მუშაობა

მასიური მუშაობის საკითხების განხილვისას პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუშაობის სათავეში მდგომმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში პროფკავშირებმა, ვერ შესძლეს მოეცათ ჩვენთვის ამომწურავი მასალა, რომელიც მათი მუშაობის მდგომარეობას დაახასიათებდა.

იმ მცირე ცნობების მიხედვით, რომლებიც ხელთ გვაქვს, პროფკავშირების მასიურ მუშაობაში უეჭველად არის განსაზღვრული მიღწევები, სახელდობრ:

პროფკავშირების დაწვრილება, რაც აადვილებს პროფკავშირების კონკრეტულ მონაწილეობას სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

მუშათა ფართო მასების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში;

სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გა[illegible] ხელმძღვანელობა;

მასიური მუშაობის გაძლიერება ქალთა შორის;

პროფკავშირების როლის გადიდება პოლიტიკურ-სამეურნეო კამპანიების ჩატარებაში და სხ.

ამ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს შემდეგ დეფექტებს:

1. პროფკავშირებმა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გარდაქმნეს თავიანთი რიგები ახალ ვითარებასთან შეფარდებით.

პროფკავშირული მუშაობის პრაქტიკა საგრძნობლად ჩამორჩება სოციალისტური მშენებლობის ახლანდელი ეტაპის ამოცანებს. საწარმოო საკითხები, სამრეწველო საფინანსო გეგმების შესრულების საკითხები, სარაციონალიზაციო მუშაობა და სხ. ჯერ კიდევ არ მოქცეულან პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

პროფორგანიზაციებმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ შესძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ მუშათა მასების აქტიობას და შრომით ენტუზიაზმს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

---

*) დასასრული. იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 14.

კონფერენციის მისალმებანი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხ. სტალინს

ძვირფასო ამხანაგო კობა!

თბილისის ბოლშევიკები, რომლებიც შეიკრიბნენ თავიანთ მე-14 პარტიულ კონფერენციაზე, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიგზავნიან შენ, პარტიისა და საერთაშორისო პროლეტარიატის საყვარელ ბელადს.

შენ, შეუდარებლად ათავსებ შენში ლენინიზმის ღრმა თეორიულ ცოდნას, მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიის დამუშავებას და ამ თეორიის გაბედულად და მოხერხებულად განხორციელებას რევოლიუციონური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის სხვა და სხვა ეტაპებზე კომუნიზმის მსოფლიო გამარჯვებისათვის.

ლენინის დროშით, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ფოლადისებური ხელმძღვანელობით ჩვენ ვასრულებთ შენს მითითებებს, ვანადგურებთ ყველა ჯურის ოპორტუნისტების გამოსვლებს კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის ნაშთებს, ცდებს შეაპარონ ტროცკისტული კონტრაბანდა ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში და ცილი დასწამონ ლენინს. თბილისის პარტ-ორგანიზაცია მთელ პარტიასთან ერთად შემჭიდროებული რიგებით მიდის წინ სოციალიზმის ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ და აძლიერებს თავის სიფხიზლეს კლასობრივი მტრის გამოსვლებისადმი.

შენი წერილი, რომელიც ააშკარავებს ტროცკისტებს და დამპალ ლიბერალიზმს, ჩვენთვის წარმოადგენს მარქსისტულ ლენინურ თეორიის სიწმინდისა და პარტიის გენერალური ხაზისათვის შეურიგებელი ბრძოლის პროგრამას.

სიტყვას გაძლევთ, რომ ბოლომდე გამოვასწორებთ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილებებისა და შენი მითითებების საფუძველზე საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის ყველა შეცდომებს და მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულებთ პარტიის დავალებას ხუთწლედის მეოთხე უკანასკნელ წლისათვის.

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!
გაუმარჯოს ამხ. სტალინს პარტიისა და მუშათა კლასის ბელადს!

კონფერენციის პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. საბჭო—ამხ. ორჯონიკიძეს

ძვირფასო ამხანაგო სერგო!

ჩვენ, თბილისის ბოლშევიკები, შევიკრიბეთ მე-14 პარტიულ კონფერენციაზე, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიგზავნით შენ ლენინისა და სტალინის პირველ თანამებრძოლს, პარტიის გენერალური ხაზისათვის შეურიგებელ მებრძოლს.

შენი უშუალო ნაცადი ხელმძღვანელობით გაიზარდა და განმტკიცდა ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია მრავალერიან ამიერ-კავკასიის უაღრესად რთულ პირობებში, მთელი შენი მუშაობით და ბრძოლით მოგვეცი პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითი. შენი მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ყოველთვის იქნება ჩვენთვის ყველა ნაციონალ - უკლონისტურ ელემენტების წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლის დროშა, ნაცრესპუბლიკების თვითმოქმედების და ინიციატივის გაშლის საფუძველზე ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და პოლიტიკური სიძლიერის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დროშა.

გისურვებთ წარმატებას შენს უდიდეს შემოქმედებით მუშაობაში სოციალისტური მშენებლობის საპასუხისმგებლო ფრონტზე.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

ერევნის პარტკონფერენციას

თბილისის მე-14 პარტკონფერენცია მხურვალე სალამს უგზავნის ერევნის პარტორგანიზაციას—ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი რაზმის, პარტიის გენერალური ხაზისა, ბოლშევიკური შემჭიდროებისა და მონოლიტობის და ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის, ყველა ჯურის ოპორტუნისტების და ანტიპარტიული ჯგუფობრიობის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლის პარტკონფერენციას. ნაციონალური რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივის და თვითმოქმედების გაშლით, ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციით, ჩვენ ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიბრძოლებთ ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის გამარჯვებისათვის.

გავანადგუროთ ტროცკისტული კონტრაბანდისტები, შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტისა და იმ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც მეთაურობს ამხ. სტალინი, წინ ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის დროშით!

კონფერენციის პრეზიდიუმი.

შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიის სარდალს ამხ. ბლიუხერს

მხურვალე ბოლშევიკური სალამი შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის გმირებს!

თბილისის ბოლშევიკები, შეკრებილნი მე-14 საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, შენი სახით, ამხ. ბლიუხერ, ესალმებიან შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის მებრძოლთ, რომლებიც ფხიზლად იცავენ შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის საზღვრებს ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების ზრახვებისაგან. თქვენ, ასრულებთ რა მტკიცედ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და პარტიის ბელადის—ამხ. სტალინის მითითებებს, წარმოადგენთ იმ სამშვიდობო პოლიტიკის მძლავრ, ურყევ დასაყრდენს, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა ატარებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმია ისეთსავე გამანადგურებელ წინააღმდეგობას გაუწევს ყველა იმათ, ვინც შეეცდება ამ მშვიდობიანობის დარღვევას, როგორიც გაუწია მან 1929 წელს ჩინეთის გენერლების ხროვას და თეთრგვარდიელთა ბანდებს. ჩვენი დიადი სოციალ. მშენებლობისათვის ხელის შეშლის თავხედური ცდის შემთხვევაში იმპერიალიზმი კბილებს დაიმტვრევს შორეულ აღმოსავლეთის არმიის მებრძოლთა ფოლადისებურ რაზმებზე.

გაუმარჯოს შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიას!
გაუმარჯოს წითელ არმიას—სოციალისტური მშენებლობის საიმედო ბურჯს!

კონფერენციის პრეზიდიუმი.

კონფერენციაზე

(შთაბეჭდილებანი)

კონფერენციის მესამე სხდომა... მიდის კამათი ამხ. მელაძის მოხსენების გარშემო. კამათში სხვებთან ერთად გამოვიდა ორატორი შამბე ბაშირ.

როცა თავმჯდომარემ ორატორის ვინაობა დაასახელა, დარბაზმა ჩვეულებრივად ორი სიტყვა გაიგონა—შამბე ბაშირ. მაგრამ ჩვეულებრივი ამაში მარტო ის იყო, რომ ორატორის ვინაობა ორი სიტყვით გამოიხატა—შამბე ბაშირ, ხოლო არავინ იცოდა რომელი ნიშნავდა სახელს და რომელი გვარს.

ტრიბუნასთან მივიდა ჩასკვნილი, მხარბეჭგანიერი ვაჟკაცი, მაყვალივით შავი, ხუჭუჭა თმით, და დაიწყო სიტყვა. ორატორი გვარად შამბე და სახელად ბაშირ ეროვნებით ზანგია, შორეულ აფრიკის კოლონიებიდან გადმოსახლებული. თითქმის 16 წელიწადია ის საქართველოში სცხოვრობს. ჯერ კიდევ ბავში ჩამოვიდა ის აქ, და შამბე ბაშირმა საქართველოს ყველა მუშებთან და გლეხებთან ერთად გაიარა მენშევიკური ბატონობის მძიმე წლები, შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და თავდადებული ბრძოლა სოციალისტური მშენებლობისათვის.

დღეს აფრიკელი ზანგი შამბე ბაშირ ლენინის პარტიის წევრია. ის ამაყობს ამით. ბაშირ არ ჩამოუვარდება თავისი განვითარებით ბევრ სხვა მოწინავე მუშას. ის ლაპარაკობს დამტვრეული ენით, მაგრამ ეს არ არღვევს შამბე ბაშირის—მუშისა და ლენინელის სწორ აზრს. ბაშირ სჩივის პარტიული აქტივის თეორიულ ჩამორჩენაზე. სჩივის უყურადღებობაზე კომუნალური მშენებლობის მიმართ. მაგრამ შამბე ბაშირს არ ავიწყდება ის, რაც საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ ხდება.

ვერსად,—ამბობს ის,—ვერც ერთი ქვეყნის საჯარო ტრიბუნაზე, ვერ გამოვა დღეს ჩემი ქვეყნის რომელიმე მუშა ან გლეხი და ვერ იტყვის თავისუფლად სიტყვას ისე, როგორც ეს დღეს საბჭოთა კავშირშია.

შამბეს ძმები ზანგები უსასტიკესი ჩაგვრის, ჯერ კიდევ გადაუდებელ მონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავენ. შამბე ბაშირ კი სდგას დღეს ამაყად ლენინის პარტიის ერთ-ერთ მოწინავე რაზმის, თბილისის ბოლშევიკების, საქალაქო კონფერენციის ტრიბუნასთან და როგორც ლენინელი, მოქალაქე, როგორც შეგნებული პოლიტიკური მუშაკი —შინაარსიან სიტყვას ამბობს. ეს არის კონფერენციის მუშაობის მხოლოდ ერთი დეტალი, მაგრამ დეტალი, რომელშიაც, როგორც წყლის წვეთში, გამოსჭვივის ლენინური პარტიის ნამდვილად ინტერნაციონალური ბუნება.

**

არაჩვეულებრივად ენერგიული, ფოლადისებური წკრიალა იყო კამათში გამოსულ 20-31 წლის ორატორის ხმა. ცეცხლივით ელავს მისი თვალები, ფართო შუბლზე ტალღად გადაშლილა ოქროს ფერი თმა, ახალგაზრდულ სიცოცხლეს აფრქვევდა მისი სიტყვა მთელ დარბაზში. საზოგადოდ გამოჩენილ აქტიურ ორატორებს ჩვენი პარტიული კრებების ხშირად დამსწრენი ადვილად იცნობენ. ისინი საჯარო ტრიბუნების ხშირი სტუმრები არიან.

ეს ახალგაზრდა კი პირველად სდგას ასეთი ავტორიტეტული კრების ტრიბუნასთან. ის დღემდე შეუმჩნეველი იყო, მას ვერავინ ხედავდა და ამჩნევდა. ეხლა კი, თითქოს კარს უკან იდგაო, მოულოდნელად გამოჩნდა და გამოჩნდა მთელი თავისი სიდიადით. სწორი ორატორული ფრაზა, დალაგებული მსჯელობა, საკითხის პოლიტიკური არსის ერთი გასინჯვით აღმოჩენა. გულს სიხარული ავსებს, როცა მას მისჩერებიხარ.

და რამდენი ასეული ათასი ასეთები აღიზარდა ძველი ბოლშევიკური გვარდიის ხელმძღვანელობით ამ წლების განმავლობაში! ახალგაზრდა ლენინური კომკავშირი დღეს ხომ 6 მილიონიან არმიას წარმოადგენს! ტრიბუნასთან სდგას ბოლშევიკური ჭაშნიკის, საბჭოთა ფორმაციის მუშაკი, სდგას ბოლშევიკურ საზოგადოებრივობაში აღზრდილი მოქალაქე.

მოდის ახალი თაობა, ჩვენი ეპოქის ღირსეული მკვიდრები. ამიტომ გასაგებია, რომ თბილისის პარტკონფერენცია ასეთი განსაკუთრებული აღტაცებით შეეგება სტალინის რაიონის პიონერების ბუკით და ნაღარით მოძღვნილ სალამს.

*

რაზე სჩივოდნენ მოკამათე ორატორები?. საყვედური ბევრი გაისმოდა. თითქმის ყველა მოუთხრობდა კონფერენციას იმას, რაც სტკიოდა, მაგრამ ეს ჩივილი არ ჰგავდა ჩვეულებრივ წუწუნს—ან კიდევ ამ საყვედურებში ოდნავადაც არ გაისმოდა უიმედობის ნოტები.

ლაპარაკობს სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენელი ამხ. მაისურაძე. ისიც სჩივის თავისი ორგანიზაციის ტკივილებზე. რა აწუხებს სარეწაო კოოპერაციას?... არ დაიჯერებთ, პარადოქსათ მოგეჩვენებათ, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუხვალთ: სარეწაო კოოპერაცია დაავადებულია წევრთა არაჩვეულებრივი „დენადობით“. ასე სთქვა ორატორმა, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, წევრთა რიცხვის არაჩვეულებრივი შემცირებით. მარტო ერთი წლის განმავლობაში სარეწაო კოოპერაციის გაერთიანებიდან გავიდა 3.000 კაცი. გამგეობა შეშფოთებულია, გამგეობა სწუხს.

მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ საბჭოთა კავშირში მოისპო უმუშევრობა, გაიხსნა მრავალი ახალი ფაბრიკა-ქარხანა. შინამრეწველებიც, ძალაუნებურად, წვრილ სახელოსნოებიდან ქარხნებში გადაბარგდნენ...

კონფერენციას თავის გაჭირვებას შესჩივოდნენ სხვა დელეგატებიც. ვინ იყვნენ ისინი? ეს ხალხი ლაპარაკობდა ისეთ საწარმოო ერთეულებიდან, რომელნიც სულ რამოდენიმე წლის წინად ჩვენს ქალაქში ხსენებაშიაც არ ყოფილან.

ახალი ქარხნები, ახალი ფაბრიკები, უახლოესი ტიპის დაზგა-მანქანები—მოითხოვენ მეტ ნედლეულს, მეტ კვალიფიციურ მუშა-ხელს, მეტ ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალებს. ესენი კი ჩვენ საკმაო რაოდენობით არ გაგვაჩნია.

სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ვერ აუდის მრეწველობის არაჩვეულებრივად გადიდებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სკოლები ვერ იძლევიან საჭირო რაოდენობით და სასურველი მომზადებით კვალიფიციურ მუშა-ხელს, ჩვენი სპეციალური სასწავლებლები ვერ ასწრებენ სწრაფი ნაბიჯით წინ მიმავალი მრეწველობის უზრუნველყოფას ტეხნიკის წითელი კომანდირებით...

ჩვენი ტრანსპორტი ვერ აუდის ქვეყნის არაჩვეულებრივად გაზრდილ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ტრანსპორტი გადაიქცა ხუთწლედის შესრულების ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებად. ბრკოლდება სათბობ მასალის გადაზიდვა, ნედლეულის გადატანა, დამზადებული პროდუქციის მიტანა მომხმარებლებთან. ამაზე სჩივიან თითქმის ყველა მსხვილი ფაბრიკის დელეგატები და თვით რკინის გზის წარმომადგენელიც.

აქედან დასკვნა: დაუნდობელი ბრძოლა პარტიის დირექტივების განხორციელებისათვის, ტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნისათვის, ბოლშევიკური იერიში ბელადის 6 მითითების განხორციელებისათვის მთელს ჩვენს აღმშენებლობაში.

ამიტომაა ასე ხშირ-ხშირად, რომ გაისმის სიტყვები: გაუპიროვნება, გაწყვეტილებელი სვლა, ბრიგადა, ბუქსირი, სოციალისტური შეჯიბრება. ამ სიტყვებმა სრული მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვეს ჩვენს სალაპარაკო ლექსიკონში, ჩვენდა შეუმჩნევლად იქმნება არა მარტო ახალი ფაბრიკები, ახალი ქარხნები და ახალი ადამიანებიც, კი, არამედ ახალი ენაც სოციალისტური მშენებლობის ეპოქის ენა...

და ეს ყოველივე გულს სიამაყით ავსებს, ყურს ეფერება დელეგატების გაკეთებული განცხადებანი ახალი მიღწევების შესახებ.

თბილისის ბოლშევიკების კონფერენცია ზეიმობს ახალ და ახალ გამარჯვებებს. სრულიადაც შემთხვევითი არ არის, რომ კონფერენციამ ასე მრავალი მისალმებები მოისმინა. ეს სავსებით გასაგებია იმ ქვეყნის მშენებელთა შეკრებაზე, რომელშიაც არ არის კრიზისი, არ არის უმუშევრობა, სადაც წინ მიდის ტეხნიკა, არ არის ადამიანის ჩაგვრა ადამიანისაგან.

აკ. ჭყონია.

საქ. კომპარტიის VIII ყრილობა

გაიხსნება ა. წ. 20 იანვ. საღ. 7 ს. რუსთ. თეატ. შენობაში

დღის წესრიგი:

1. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის მოხსენება;
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება;
3. საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის—მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება;
4. მოხსენება საქართველოს მრეწველობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომ. მდივანი ბერია.

საქართველოს კ. პ. (ბ) მერვე ყრილობის ყველა საკითხებზე უნდა მიმართონ ყრილობის საორგანიზაციო კომისიაში (ცენტრალური კომიტეტის შენობა, ოთახი № 15) ამხ. ბარსევანოვს.

საორგანიზაციო კომისია

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. პ. მელაძის მოხსენების გაგრძელება

2. პროფკავშირები ჯერ კიდევ არ მობრუნებულან პირით მუშათა მომარაგებისაკენ, მათ ვერ შესძლეს მოეწყოთ მომარაგების ორგანოების, მუშათა დახურული კოოპერატივების, სასადილოების, საერთოდ სახვაჭრობის და კოოპერაციის სავაჭრო წერტების მუშაობის მასიური მუშური კონტროლი.

აქა-იქ ჯერ კიდევ ადგილი აქვს მუშათა მომარაგების საქმეში პროფკავშირების წინაშე მდგარ ამოცანების ოპორტუნისტულ დაპირისპირებას სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის საბრძოლველად მუშათა მასების მობილიზაციის ამოცანებისადმი.

3. სუსტად სწარმოებს მუშაობა სახაპარატის გაუმჯობესებისა და სახაპარატზე საწარმოთა შეფობის ორგანიზაციისათვის.

4. სრულიად არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მასიური მუშაობა მუშათა გამომგონებლობის გაძლიერებისათვის. ასე, სარემონტო ქარხანაში 1931 წლის პირველ კვარტალში 127 მიღებულ წინადადებიდან გატარდა მხოლოდ 29.

მუშათა წინადადებების წინ წაწევა დიდად ჭიანურდება (მუშა ჩხოვრელიძის საქმე,—მას ადმინისტრაციამ მოსთხოვა 100 მანეთი მის მიერ გამოგონებული დაზგის მოდელის დასამზადებლად—გალეტის ფაბრიკა).

5. სოცშეთავსების საკითხი მივიწყებულია პროფკავშირების მუშაობაში.

6. ადგილი აქვს 25 ათასელებთან მუშაობის არასათანადოდ შეფასებას, 25 ათასელნი არ არიან დაკავშირებულნი მათ გამგზავნ საწარმოებთან, 25 ათასელებს სწორად არ იყენებენ.

მორიგი ამოცანები

1. უნდა გარდავქმნათ პროფკავშირების მუშაობა ამხ. სტალინის 6 მითითების გადაუხრელად გატარების საფუძველზე, მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ საამქროში, ბრიგადაში, უნდა გავაძლიეროთ პროფკავშირების საწარმოო საქმიანობა და გავაუმჯობესოთ სამრეწველო-საფინანსო გეგმების დამუშავებაში პროფკავშირების კონკრეტული მონაწილეობის ხარისხი.

2. უნდა გაძლიერდეს ხელმძღვანელობა სოცშეჯიბრების და დამკვრელობის, სამეურნეო ანგარიშის, ბრიგადების გაშლის, ტეხნიკური დანორმვის, სანარდო სისტემის და შრომის პროგრესიულ-პრემიალური ანაზღაურების განხორციელების საქმეში.

3. მოეწყოს მუშათა მასიური კონტროლი მომარაგების ორგანოების მუშაობაზე და ამ საქმეში ჩაბმულ იქნას ნებაყოფლობითი აქტივი საწარმოთა დამკვრელ მუშებისაგან.

4. უნდა უზრუნველვყოთ პროფმუშაობის სიმძიმის ცენტრის ნამდვილად გადატანა ძირეულ საწარმოო რგოლებში. ხშირად უნდა ჩატარდეს საწარმოო თათბირები ცალკე პროფესიების მიხედვით.

5. უნდა გავაძლიეროთ პროფკავშირების ხელმძღვანელი როლი მუშათა მასების კულტურულ მოთხოვნილების დაკმაყოფილების და საწარმოებში მიმდინარე სასწავლო-საწარმოო მუშაობის საკითხებში.

6. სოცშეთავსებისა და საწარმოთა შეფობის ყოველნაირად წახალისების საფუძველზე უნდა მივაღწიოთ სახაპარატის მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნას და დაუზოგავად ამოვფხვრათ ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების ელემენტები.

7. უნდა მოვახდინოთ მუშათა მთელი მასის ყურადღების მობილიზაცია მუშათა გამომგონებლობისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობის და გამოგონებათა თავის დროზე რეალიზაციის ამოცანების გარშემო.

8. უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ქალთა შრომის ჩასანერგავად მრეწველობაში, გავაუმჯობესოთ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

9. გავშალოთ მუშაობა კოლხელშეკრულებათა ხელახალი დადების დარგში.

საბჭოების მასიური მუშაობა

მიუხედავად საბჭოების მასიური მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, (რაისაბჭოების ორგანიზაცია, მუშაობის დეცენტრალიზაცია, ცენტრალური აპარატის რეორგანიზაცია) აქ ჯერ კიდევ ბევრ დეფექტს აქვს ადგილი.

1. სუსტადაა დაყენებული სექციური მუშაობა. მაშინ როცა დეპუტატების და პროფაქტივის საერთო რიცხვი 2.347 კაცს უდრის, პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია მხოლოდ 600 კაცამდე.

2. დეპუტატთა ჯგუფებმა საწარმოებში ჯერ კიდევ ვერ შესძლეს გადაქცეულიყვნენ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელების საქმეში მშრომელი მასების აქტივობის დამრაზმავ ცენტრად.

3. სახაპარატის მუშაობის რაციონალიზაციის საკითხი, მშრომელთა მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის მისი ძირფესვიანად გარდაქმნის საკითხი დღემდე მეორეხარისხოვან საქმეს წარმოადგენს როგორც თვით აპარატის, ისე საბჭოების მუშაობაში.

საბჭოებმა ვერ შესძლეს მასების დარაზმვა სახაპარატის დეფექტებთან საბრძოლველად.

4. შესრულების კონტროლი და შემოწმება არ სდგას სათანადო სიმაღლეზე. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არ არის მოწყობილი შემოწმების და შესრულების სექტორი, ხოლო საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში ეს მუშაობა შეთავსების წესით მემანქანე—ქალს აქვს დაკისრებული.

5. პროკურატურის და სასამართლოს მუშაობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი საქმის დაუსრულებლად გაჭიანურებას. სასამართლოში ზოგჯერ საქმეები წლობით გრძელდება.

საბჭოების მთავარ ამოცანებს მასიური მუშაობის დარგში წარმოადგენენ:

1. საბჭოების როლის გადიდება პარტიის გენერალური ხაზის გატარების საქმეში, გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება ყოველი ჯურის ოპორტუნიზმთან.

2. მშრომელი მასების რაც შეიძლება მეტად ჩაბმა საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში, ქალაქის მთელი პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ოპერატიული ხელმძღვანელობა, მასების დარაზმვა ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ელემენტებთან საბრძოლველად საბჭოთა აპარატში.

3. საბჭოების სექციების მუშაობის გაძლიერება და გაცხოველება, საწარმოო პრინციპის მიხედვით უკეთესი ორგანიზაციული სტრუქტურის შემოღების, მათ მუშაობაში მეტი სპეციალიზაციის შეტანის და სექციების დაწვრილების გზით.

5. დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის გაცხოველება თბილისის საბჭოს და რაისაბჭოების კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერების საფუძველზე.

6. მშრომელთა ფართო მასების კონტროლის გაუმჯობესება სახაპარატის მუშაობაში.

ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მასიური მუშაობა

მეტად სუსტადაა დაყენებული ნებაყოფლობითი ორგანიზაციების (თავდაცვა-ავიაქიმი, საშეფო საზოგადოება, „წერა-კითხვა“ და სხვ.) მასიური მუშაობა.

ძირითადი ნაკლი მათ მუშაობაში ისაა, რომ ისინი არ ასრულებენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას.

მათი უმრავლესობის მთავარი საქმიანობა ვაჭრობაში გამოიხატება. მაგ., თავდაცვა-ავიაქიმი ბოტებით ვაჭრობს. „წერა-კითხვა“-ს აქვს საკომისიო მაღაზიები, ფეხსაცმელის სახელოსნოები და კომერციული წერტები, საშეფო საზოგადოება ვაჭრობს ყველაფრით, რაც გნებავთ, ამასთან ისინი უხეშად არღვევენ საბჭოთა ვაჭრობის პრინციპებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მათ მოღვაწეობას არ ეწევა სისტემატიური კონტროლი.

ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობა ისე უნდა გარდავქმნათ, რომ ეს ორგანიზაციები ასრულებდნენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას, სავაჭრო-საწარმოო საქმიანობას ისინი უნდა მიმართავდნენ მხოლოდ, როგორც დამხმარე საქმეს. საჭიროა მოისპოს ნეპმანური სული მათ მუშაობაში და, რაც მთავარია, გადაისინჯოს მათი აპარატის შემადგენლობა.

V. ქალთა შორის მუშაობა

ამხანაგებო, გადავდივარ ქალთა შორის მუშაობის საკითხზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგში გვაქვს ერთგვარი მიღწევები, რაც გამოიხატა წარმოებაში ქალთა შრომის დანერგვაში, ქალების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის გადიდებასა და მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში,—ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მუშაობა ქალთა შორის, მიუხედავად ამისა, მაინც, მეტად ცუდად და არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ეს იმით აიხსნება, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციები არასაკმაოდ აფასებენ ამ მუშაობას, რომ მათ არ ესმით ის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა, რომელიც აქვს ქალთა შორის მუშაობას ჩვენი განვითარების ეხლანდელ საფეხურზე.

როგორია ჩვენი ნაკლოვანებანი ამ დარგში?

1) მასიური მუშაობა ქალთა შორის არ შეეფერება იმ ახალ ამოცანებს, რაც ამჟამად სდგას ჩვენს წინაშე.

არ ხდება ქალთა გაზრდილი აქტივობის სათანადოთ გამოყენება.

არ არის მტკიცე, ცოცხალი, ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობა.

წარმოებაში ქალთა შრომის დანერგვა მეტად სუსტად მიმდინარეობს. არ სრულდება საკონტროლო დავალებები ამ დარგში. მრავალი სამეურნეო მუშაკი ისევ დაუდევრად ეკიდება ქალთა შრომის გამოყენებას და ამას ასაბუთებს ლაყბობით იმის შესახებ, რომ მამაკაცის შრომა არ ძალუძს შეასრულოს ქალმა და სხვ.

3) კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმეში არ სრულდება პარტიის დირექტივა იმის შესახებ, რომ ყოველმხრივ ხელი შეეწყოს ქალების გაგზავნას კურსებზე, მათ წრეებში ჩაბმასა და სხვ.

4) არასაკმარისად არის გაშლილი იმ ქალების კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომლებიც მუშაობენ წარმოებაში (ბაგები, საბავშო ბაღები, კერები, ღამის ოთახები და სხვ.), რაც რამდენადმე ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ადიდებს ცვალებადობას მუშა-ქალებს შორის.

ასეთია საერთოდ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი ამ დარგში.

მორიგ ამოცანებად ქალთა შორის მუშაობის დარგში ითვლება:

პარტიული ხელმძღვანელობის ნამდვილად გაძლიერება;

ქალთა გაზრდილი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის არსებული სამსახურის გამწევი მასიური ორგანიზაციების ძირითადათ გარდაქმნა;

დავალებათა აუცილებლად შესრულება წარმოებაში ქალთა შრომის გამოყენების შესახებ, ქალების საბჭოთა და კოოპერატიულ მუშაობაში უფრო ფართოდ ჩაბმის შესახებ, კერძოდ, მუშათა მომარაგებისა და კვების საკითხებზე შემდგომი ორგანოების არსებული დირექტივების შესრულებისათვის კონტროლის გაწევასა და შემოწმებაში ჩაბმის შესახებ.

ასეთია, ამხანაგებო, მოკლედ ამოცანები ქალთა შორის მუშაობის დარგში.

VI. კომკავშირი

გადავდივარ კომკავშირის მუშაობის საკითხებზე.

შევჩერდები მისი მუშაობის ძირითად ამოცანებზე, რადგან კონფერენცია მოისმენს ამხ. სიხაშვილის თანამოხსენებას, რომელშიც დაწვრილებით იქნება გაშუქებული კომკავშირის მუშაობის ყველა მომენტები.

ამხანაგებო, თუ ამიერ-კავკასიაში საერთოდ და კერძოდ, საქართველოსა და თბილისში გვყავდა პარტიული ხელმძღვანელობა, რომელმაც დაუშვა მთელი რიგი უდიდესი პოლიტიკური შეცდომები, დაამახინჯა პარტიის ხაზი მუშაობის ძირითად პოლიტიკურ და სამეურნეო დარგებში,—**ბუნებრივია, რომ ასეთ პარტიულ ხელმძღვანელობას არ შეეძლო უზრუნველეყო ბოლშევიკური ხელმძღვანელობის გაწევა კომკავშირისათვის.**

ჩვენს კომკავშირს, რა თქმა უნდა, უდავო მიღწევები აქვს, კომკავშირი გაიზარდა იდეურად და პოლიტიკურად, კომკავშირმა თავის მუშაობაში მიაღწია მთელ რიგ წარმატებებს, **მაგრამ ეს წარმატებანი სრულიად არ არის საკმარისი.**

აქტივის მდგომარეობა, მუშაობა მასთან ინტერნაციონალური მუშაობის და პოლიტგანათლების საკითხები, კომკავშირის მონაწილეობა სამეურნეო მშენებლობაში, მუშაობა ბავშთა შორის, მსუბუქი კავალერიის მუშაობა—კომკავშირის მუშაობის ყველა ეს უმნიშვნელოვანესი მომენტები ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ამჟამად უყენებენ კომკავშირს.

სხვა ამოცანებთან ერთად, რომელთა შესახებ დაწვრილებით მოახსენებს კონფერენციას ამხ. სიხაშვილი, ძირითად ამოცანას წარმოადგენს კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება; ეს ხელმძღვანელობა დღემდე ძალიან სუსტად იყო დაყენებული.

კომკავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს მის წინაშე დასახულ ამოცანების გადაჭრას, თუ განმტკიცდება და გაძლიერდება პარტიული ხელმძღვანელობა, უფრო მაღალ საფეხურზე იქნება აყვანილი კომკავშირის ბრძოლის უნარი, იდეურ-პოლიტიკური დონე, გადაჭრით გარდაიქმნება კომკავშირის მთელი მუშაობა იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომლებიც დასახა ამხ. პოსტიშევმა საკ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე, და ორგანიზაცია გადაჭრით იბრუნებს პირს სამრეწველო გეგმის შესრულების საკითხებისაკენ.

VII. საკავშირო კ. პ. (ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებების შესახებ ა.-კ. პარტორგანიზაციების მოხსენებათა გამო

ეხლა, ამხანაგებო, გადავიდეთ საკითხზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებების შესახებ ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ნაცკომპარტიათა ც. კ-ების მოხსენების გამო

ამ დადგენილების განხილვის შედეგებმა დაგვანახვეს, რომ თბილისის პარტორგანიზაციამ, რომელმაც შეითვისა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ცნობილი დოკუმენტის პოლიტიკური აზრი, საგრძნობი მუშაობა გააჩაღა თავისი რიგების ბოლშევიკურად გარდასაქმნელად იმისთვის, რომ უზრუნველეყო საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებათა შესრულება.

ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიისა და ამას წინად დამთავრებული იმ რაიონული კონფერენციების შედეგებით, რომლებიც ჩატარებულ იქნა თბილისის მთელი პარტიული ორგანიზაციისა და მუშების მობილიზაციის ნიშნით საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მიერ ა.-კ. პარტორგანიზაციის მოხსენებათა გამო მიღებული დადგენილების ბოლშევიკური რეალიზაციისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ „ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ პერიოდში მიაღწია ერთგვარ წარმატებას, განსაკუთრებით სამეურნეო მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გაწევისა და ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის საქმეში“.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-მა აღიარა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ეს ერთგვარი წარმატება და თან თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ „ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მუშაობაში დაშვებულ იქნა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთაგან მთავარს წარმოადგენს შეცდომა გლეხობის საკითხში“.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა, ამხანაგებო, აღმოაჩინა უხეში შეცდომები, რაც დაუშვა ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და რესპუბლიკათა კომპარტიებმა განსაკუთრებით საქართველოს ც. კ.-მა, სოფლის ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებისათვის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში, ნაციონალური პოლიტიკის გატარების პრაქტიკაში და ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. გლეხთა საკითხში დაშვებული შეცდომების გამო საკავშ. კ. პ. (ბ) ც. კ.-მა აღნიშნა, რომ „ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, რომლებმაც გაშალეს საგრძნობი მუშაობა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ჩასატარებლად, უმთავრესად ყურადღება მიაქციეს მუშაობის ტეხნიკურ მხარეს და ვერ უზრუნველყვეს სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევა გლეხობისათვის (ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებისათვის)“.

ნამდვილად ეს იყო:

1. პურის დამზადების გატარების არასწორი და პოლიტიკურად მავნე პრაქტიკა, რაც გამოიხატა თითქმის ყველა რაიონებისათვის დამზადების არარეალური გეგმების მიცემაში, პურის ჩაბარების მტკიცე დავალების მიყვანა ღარიბ-საშუალო გლეხთა მეურნეობამდე, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობებისათვის, ცალკე საშუალო, ხოლო ალაგ-ალაგ ღარიბ გლეხთათვის პურის, პირუტყვისა და დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სამომხმარებლო ნორმების ჩამორთმევას.

2. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ხაზით გაბერილი პროცენტებისადმი გამოდევნება, ალაგ-ალაგ განკულაკების ჩატარება მთლიანი კოლექტივიზაციის დარგში და სხვ. კოლექტივიზაციის გაბერილი ციფრების ამ გამოდევნებას შეერთებულს კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების დანაშაულებრივ უგულებელყოფასთან, სულ ხშირად თანა სდევდა უთავბოლო შიშველი ადმინისტრატიული ზომების გატარება სოფლად და საორგანიზაციო და მასიურ მუშაობის თითქმის სრული მივიწყება. ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს ც. კ.-ის ძველმა ხელმძღვანელობამ ვერ შესძლეს შეემჩნიათ ჩვენი მხარის კონკრეტული თავისებურებანი, რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენი კავშირის მარცვლეულის რაიონების მუშაობის მეთოდების მექანიკური გადმოტანა ამიერ-კავკასიასა და საქართველოში.

რა მივიღეთ ჩვენ სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს ც. კ.-ის ამგვარი მუშაობის შედეგად სოფლად? საკავშ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებებში ნათქვამია, რომ **„ამის შედეგად, მიუხედავად ამიერ-კავკასიის გლეხობის ძირითადი მასების მობრუნებისა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ, კულაკურსა და ანტისაბჭოთა ელემენტებს საშუალება მიეცათ გამოეყენებიათ** დაშვებული შეცდომები და გადახვევები სოფლად თავისი **გავლენის** გამოსაცოცხლებლად“.

აი სწორედ ამიტომ საკავშ. კ. პ. (ბ) ც. კ.-მა განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ კოლექტივიზაციის გატარება, განსაკუთრებით საქართველოში, მიმდინარეობდა „საკმაო და სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად, ჩამოუყალიბებელი კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკურად განმტკიცების გარეშე“.

განა, ამხანაგებო, აქედან ცხადი არ არის, რომ ა.-კ. სამხარეო კომიტეტი და საქართველოს ც. კ.-ის ძველი ხელმძღვანელობა უშვებდა შეცდომას, როცა ცალკე ამხანაგების და ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ც. კ.-ის ბიუროს წევრების გამოსვლებს, მიმართულს ამ „მომემარცხენო“ შეცდომების გამოსწორებისაკენ, აფასებდა როგორც ფრაქციულსა და ჯგუფობრივ გამოსვლებს?

შეუძლებელია არ აღინიშნოს აქ, ამხანაგებო, რომ ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს ც. კ.-ის ძველმა ხელმძღვანელობამ არ გამოააშკარავა, არ გამოასწორა დაშვებული შეცდომები. ამ შეცდომების გამოსწორება დაიწყო მხოლოდ ამხ. სტალინისა და საკავშ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ჩარევის შემდეგ.

მე აქ მსურს კონფერენციის ყურადღება შევაჩერო ერთ მომენტზე. ზოგიერთი ამხანაგის თავში ბუდობს ისეთი აზრი, რომ „მომემარცხენო“ ხასიათის შეცდომის დაშვება თითქოს არც თუ იმდენი ცოდვა იყოს, არც თუ იმდენი ოპორტუნიზმი, რომ ეს არც თუ იმდენად საშიშარია. ამხანაგებო, საქართველოს კომპარტიამ, პირველ ყოვლისა კი მისმა მოწინავე რაზმმა—თბილისის ორგანიზაციამ მტკიცედ უნდა შეიგნოს, რომ ასეთი „ჭკუის კოლოფებისა“ და ამგვარი „პრაქტიკოსების“ წინააღმდეგ საჭიროა შეუნელებელი ბრძოლის წარმოება. სწრაფად და გადაჭრით უნდა შევუტიოთ „მომემარცხენო“ ნახტომებს. უნდა გავიგოთ, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტების და კულაკობის სასარგებლოდ მუშაობენ „მემარცხენე“ ოპორტუნისტებიც.

მე აქ მინდოდა ამის გამო მომეყვანა პატარა ამონაწერი „პრავდა“-ს 1931 წ. 25 დეკემბრის მოწინავედან, მასში ლაპარაკია მთელ რიგ რაიონებში, მათ რიცხვში ამიერ კავკასიაშიაც, დაშვებული „მომემარცხენო“ დამახინჯებათა შესახებ. აი, რა სწერია იქ:

„სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში დაშვებული პარტიის ხაზის „მემარცხენე“ დამახინჯებათა ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია ყოველთვის სწრაფად და გადაჭრით არ უწევს წინააღმდეგობას „მომემარცხენო“ ნახტომებს, ანგარიშს არ უწევს მათ საფრთხეს. მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც პარტიაში ამ ეტაპზე მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ცეცხლის ერთი წუთითაც შეუნელებლად, ჩვენ უნდა ვახერხებდეთ ამა თუ იმ რაიონის კონკრეტული თავისებურების დანახვას რომლის გამო ბრძოლას პარტიის ხაზის „მემარცხენე“ დამახინჯებათა წინააღმდეგ ამ ხანად შესაძლებელია მიეცეს განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა“.

ასეთია ამხანაგებო ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს ცეკას ძველი ხელმძღვანელობის მიერ **გლეხურ საკითხში** დაშვებული შეცდომის მდგომარეობა.

გადავდივარ ა.-კავკასიაში ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში დაშვებულ შეცდომებზე. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამ შეცდომების დახასიათების დროს ამბობს, რომ ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა „ვერ უზრუნველყო კავკასიის ფედერაციაში შემავალ ნაციონალურ რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლა ცეკას დირექტივებთან შეფარდებით“.

იმის ნაცვლად, რომ ყოველმხრივ განემტკიცებია ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და პოლიტიკური სიძლიერე რესპუბლიკების თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის საფუძველზე, როგორც ეს აღნიშნული იყო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებში ჯერ კიდევ 1929 წელს, ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა არსებითად დაადგა რესპუბლიკების ოლქების მდგომარეობამდე დაყვანის გზას. ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა, რომელიც ატარებდა გადაჭარბებული ცენტრალიზაციის პრაქტიკას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში, დაადგა რესპუბლიკანური ორგანოების სახის დაკარგვის გზას მთელ რიგ დარგებში. ამ „გაუპიროვნების“ ყველაზე უფრო დამახასიათებელ მაგალითებს წარმოადგენენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის, კადრების მომზადების და ფედერაციისათვის მთელ რიგ რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოთა გადაცემის ფაქტები. ამ „გაუპიროვნებას“ ადგილი ჰქონდა პარტიული ორგანიზაციების ხაზითაც. იმის ნაცვლად, რომ განესაზღვრა ფუნქციები, გამოერკვია რესპუბლიკების მოვალეობანი და დაეწესებია პასუხისმგებლობა, ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ითვისებდა თითქმის ყველა ძირითად სამეურნეო ფუნქციებს და აუპიროვნებდა ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს.

განა, ამხანაგებო, აქედან ცხადი არ არის, რომ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა დაადგა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შესაფერი დირექტივების უხეში დარღვევის გზას, რომ იგი დაადგა რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკური სიძლიერის შესუსტების და მაშასადამე, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესუსტების გზას?

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ნაცრესპუბლიკების თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაძლიერების საფუძველზე ყოველნაირად განვამტკიცოთ და განვავითაროთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზა და პოლიტიკური სიმძლავრე.

სწორად ასე უნდა გავიგოთ და გავატაროთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება.

ჩვენ განმანადგურებელი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ ცდებს—შემოგვაპარონ თავიანთი ნაციონალ-უკლონისტური შეხედულებანი ნაცრესპუბლიკების თვითმოქმედების განმტკიცებისა და გაძლიერების შირმით.

ჩვენ ბოლშევიკურად უნდა დავსცხოთ ამათაც, რომლებიც სიტყვით აღიარებენ, სცნობენ რესპუბლიკების თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის განვითარების საჭიროებას, ნამდვილად კი ხელს უშლიან პარტიის ამ დირექტივის განხორციელებას.

თბილისის ორგანიზაციამ თავის დროზე გაანადგურა ნაციონალ-უკლონიზმი საქართველოში, ეხლა შესძლებს მით უფრო იგი აღკვეთოს ყოველგვარი ცდა, რომელიც მიმართული იქნება ამიერ-კავკასიის ფედერაციის და ნაციონალური რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკური სიძლიერის შესუსტებისაკენ.

ეხლა, ამხანაგებო, შევეხები, შინაპარტიული მდგომარეობის საკითხს. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია გაიზარდა იდეურად და პოლიტიკურად უკანასკნელ პერიოდში, ამასთან მან მიუთითა, რომ ჩვენში **„ჯერ კიდევ არ არის საჭირო მონოლითობა და ბოლშევიკური შემჭიდროება“.**

ეს იმას ნიშნავს, რომ „ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკების ხელმძღვანელ კადრებს შორის, როგორც ეს სწორად აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში—ადგილი აქვს ცალკე პირთა უპრინციპო ბრძოლას გავლენისათვის („ატამანშჩინას“ ელემენტები), რა ნიადაგზეც ხელმძღვანელი კადრების შერჩევა და მუშაკების განაწილება მთელ რიგ შემთხვევებში სწარმოებს არა პარტიულ-საქმიან ნიშნის მიხედვით, არამედ ამა თუ იმ დაჯგუფებისათვის მხარის დაჭერის ნიშნით“.

„ატამანშჩინა“ ღრღნიდა პარტიული ორგანიზაციის სხეულს.

ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდებს სცვლიდენ „ატამანშჩინის“ და უპრინციპო ჯგუფობრივობის ელემენტებით.

მუშაკების წამოყენება იმ პრინციპის მიხედვით, თუ ვისი კაცია იგი, ვის აძლევს ხმას და სხვ. და სხვ. ვერ შეუწყობდა ხელს პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკურ ზრდას.

სხვანაირად რით შეიძლება აიხსნას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად დასვეს მამულია და მის მსგავს პირებს გზავნიდენ ხელმძღვანელ სამუშაოზე როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

სხვანაირად, რით უნდა აიხსნას, რომ ფიქრობდენ ტროცკისტი და გამფლანგველი გოგი დევდარიანი დაეყენებიათ მებრძოლ ორგანოს სათავეში და, ძველი ხელმძღვანელობის წინადადებით, იგი დემონსტრატიულად არჩეულ იქნა რაიკომში.

ზედმეტი არ იქნება დევდარიანის მაგალითზე ცხადვყოთ, თუ ტროცკიზმი როგორ გადაიქცა კონტრ-რევოლიუციად.

ამ ცოტა ხნის წინად, ამხანაგებო, ალბად, თქვენ ყველა, ყოველშემთხვევაში დიდი უმრავლესობა თქვენგან, იყავით პარტაქტივის კრებაზე და მოისმინეთ ამხ. მამიას მოხსენება.

გახსოვთ ეს „შესანიშნავი სტატუტი“, რომელიც ამხ. მამიამ გამოაქვეყნა.

ალბათ გახსენებთ იმ „გმირ“ გოგი დევდარიანსაც, რომელიც თავის ბრძოლაში დაეშვა კონტრ-რევოლიუციამდე.

აი რას მოგვითხრობს თავის ჩვენებაში ტროცკისტი და გამფლანგველი გოგი დევდარიანი:... (გამოტოვებულია)

კადრების ასეთი შერჩევა აფერხებდა ნორმალურ საქმიან მუშაობას. ორგანიზაციაში განვითარდა „ატამანშჩინა“, უპრინციპო ჯგუფობრიობა.

აქედან წარმოსდგებოდა ბოლშევიკური დისციპლინის დაუსჯელად დარღვევის ფაქტები. ამ ნიადაგზე წარმოიშვა და ვითარდებოდა უპრინციპო ჯგუფობრივი ბრძოლა ბაქოს ორგანიზაციაში აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ბაქოს კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სწორად აღნიშნა, რომ **„აზერბეიჯანის ორგანიზაციის კონსოლიდაციის საქმეში ბაქოს ორგანიზაციამ, ამხ. პოლონსკის მეთაურობით ითამაშა გადამწყვეტი როლი, როგორც ამიერ-კავკასიის უდიდესმა პროლეტარულმა ორგანიზაციამ“.**

ის გამანადგურებელი წინააღმდეგობა, რომელიც ბაქოს ორგანიზაციამ დაჯგუფების მონაწილეთ გაუწია, საუკეთესოდ ცხადყოფს ამ დებულებას. სულ სხვანაირი მდგომარეობა იყო თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის თბილისის კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელების ამხ. მამულიას, ოკუჯავას, ლომიძის და სხვათა მიზეზით, რომელნიც დამპალ ჯოხს წარმოადგენდნენ ძველი ხელმძღვანელობის ხელში. ბაქოს უპრინციპო დაჯგუფებასთან ბრძოლის ნაცვლად, ისინი დაადგნენ ამ დაჯგუფების აშკარა დაცვის გზას. ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ თუნდაც ორი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის ორგანიზაციაში:

1. როდესაც „ზარია ვოსტოკა“-ს და „მკერავი“-ს უჯრედებმა დაგმეს ბაქოს დაჯგუფების მონაწილენი, თბილისის კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელებმა სხვა უკეთესი ვერაფერი მოიმოქმედეს, გარდა იმისა, რომ მოიწვიეს უჯრედთა მდივნების სპეციალური თათბირი, აუკრძალეს მათ ამ საკითხის განხილვა და მიღებულ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება და შეახურეს ის უჯრედის მდივნები, რომელთაც მიიღეს ბოლშევიკური გადაწყვეტილება ბაქოს დაჯგუფების მონაწილეთა შესახებ.

2. იმის ნაცვლად, რომ ც. კ.-ის და თბილისის კომიტეტის ყოფილ მდივნებს პარტიულ მასებისათვის სწორად გაეცნოთ და განემარტათ ამხ. სტალინის მითითებანი, და შვებული შეცდომების დაუყოვნებლივ გამოსწორების მიზნით, ეს ხალხი დაადგა პროვოკაციის და ამხ. პოლონსკის, ბერიას და სხვათა დისკრედიტაციის გზას.

პარტიულ მასებს დაუმალეს პარტიის ბელადთან საუბარი და მისი მითითებანი. უფრო მძიმე დანაშაული ძნელი წარმოსადგენია.

როგორ შეიძლება სხვანაირად, თუ არ თვით კრიტიკის ჩახშობად და „ატამანების“ და დაჯგუფების მონაწილეთათვის აშკარად მხარის დაჭერად, შეფასდეს თბილისის კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელთა ასეთი ქცევა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ თბილისის ორგანიზაციამ გარეკა ასეთი „ხელმძღვანელები“, სასტიკად დაგმო ისინი და მოითხოვა მათგან დაუყოვნებლივ აღიარებიათ დაშვებული შეცდომები და საქმით დაემტკიცებიათ გამოსწორებისა და პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის უნარი.

პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილება, სათანადოდ შეაფასა ც. კ.-ის და თბილისის კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის როლი „ატამანშჩინის“ და უპრინციპო ჯგუფობრივი ბრძოლის ორგანიზაციაში.

განა, ამხანაგებო, ახლა ყველასათვის ცხადი არ არის, რომ ჩამოცილების პოლიტიკა, მიმართული ცალკე ამხანაგების სწორ მითითებათა წინააღმდეგ და ნაკარნახევი ჯგუფობრივი ინტერესებით, ვერ უზრუნველყოფდა როგორც სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით შესრულებას, ისე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის განმტკიცებასაც.

თბილისის ორგანიზაციამ, რომელიც იყო ქართულ უკლონიზმთან ბრძოლის ინიციატორი და ორგანიზატორი, თბილისის ორგანიზაციამ, რომელიც ამიერ-კავკასიის სხვა პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად გაბედულ და გადამწყვეტ შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა პარტიის გენერალური ხაზისათვის, პარტიული ხაზისაგან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ,—ც. კ.-ის და თბილისის კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის წყალობით დაჰკარგა თავისი სახე და მოსწყდა უპრინციპო დაჯგუფებასთან ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდნენ ბაქოს ბოლშევიკები.

თბილისის ორგანიზაციის გაუპიროვნების გზა ამ ყოფილი ხელმძღვანელებისათვის სრულიად არ არის შემთხვევითი. ის გამომდინარეობს მთელი იმ პოლიტიკიდან, რომელსაც ისინი ატარებდნენ ამიერ-კავკასიაში.

სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას თბილისის რაიონების ლიკვიდაცია. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი ამხანაგები (ამხ. მზარეულაშვილი და სხვ.) წინააღმდეგნი იყვნენ რაიონების ლიკვიდაციის, ყოფილმა ხელმძღვანელებმა არ გაუწიეს ანგარიში ჩვენს სინამდვილეში არსებულ თავისებურობებს და დაადგნენ არა მარტო გაუპიროვნების, არამედ რაიონების სავსებით ლიკვიდაციის გზას.

ეხლა, ამხანაგებო, თქვენ ყველამ უკვე იცით, რომ ამხ. სტალინმა ძალიან არ მოიწონა გუშინდელი ხელმძღვანელების ეს ღონისძიებები და მხოლოდ ამის შემდეგ აღდგენილ იქნა თბილისის რაიონები.

როგორ იქცევიან ყოფილი ხელმძღვანელები ყველა ამის შემდეგ? გამოიტანეს თუ არა მათ რაიმე გაკვეთილები ამხ. სტალინის მითითებებისაგან, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და მთელი თბილისის ორგანიზაციის გადაწყვეტილებებისაგან?

ვფიქრობ, რომ არა.

მამულიასთვის, მაგალითად, თბილისის ორგანიზაციის უჯრედების ყველა მოთხოვნილებებს—გამოვიდეს თავისი შეცდომების აღიარებით,—არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მამულია სდუმს, არ გამოდის.

განა, ამხანაგებო, მამულიას ეს საქციელი არ ნიშნავს იმას, რომ ის არ ეთანხმება, უკმაყოფილოა საკ.კ.პ. (ბ) ც.კ.-ის გადაწყვეტილებებით?

განა, ამხანაგებო, მართალი არ არიან თბილისის მუშები, რომლებიც არ ეთანხმებოდენ მამულიას, ოკუჯავას და სხვების დანიშვნას უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და თავიანთ რაიონულ კონფერენციებზე მოითხოვდენ მათ მოხსნას და ძირეულ სამუშაოზე გაგზავნას?

ამხანაგებო! საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილება, განსაკუთრებით პრაქტიკულ მითითებათა ნაწილში სამრეწველო მშენებლობის და სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით ტექნიკური კულტურების—ჩაი, თამბაქო, მევენახეობა, ბამბა და სხვ. განვითარების შესახებ, ავალებს თბილისის ორგანიზაციას, ისე როგორც ბაქოს და ერევნის ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ ა.-კ. პარტორგანიზაციების მოწინავე რაზმს—უკეთესად დააყენონ მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში და გვიჩვენონ მისი ბოლშევიკური ნიმუში. თბილისის ორგანიზაციამ არა ერთხელ გვიჩვენა თავისი უნარი პარტიის გენერალური ხაზის დაცვის და გატარების საქმეში.

თბილისის ორგანიზაცია ბოლშევიკურად უზრუნველყოფს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებათა და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციას.

VIII. იდეოლოგიური ფრონტი

ამხანაგებო, გადავდივარ იდეოლოგიური ფრონტის საკითხებზე.

დიდი შეცდომა იქნება სათანადოდ არ შევაფასოთ ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც ჩვენ ამ დარგში გვაქვს. მარქსიზმ-ლენინიზმი ძლევამოსილად იპყრობს პოზიცია პოზიციაზე. ჩვენმა პარტიამ ამხილა მექანისტები, დებორინისა და რუბინის მომენშევიკო იდეალიზმი, გაანადგურა მემარჯვენე გადახრა და კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმი არა მარტო პოლიტიკაში, არამედ თეორიაშიც.

მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი.

იგი იყენებს ზოგიერთი კომუნისტის დამპალ ლიბერალიზმს და კონტრაბანდულ გზით ცდილობს ჩვენთან შემოძრომას.

ბრძოლას იდეოლოგიურ ფრონტზე ართულებს კიდევ ის, რომ ჩვენ ამ ფრონტზე ცოტა გვყავს სამეცნიერო მუშაკი. ამით კი კლასობრივი მტერი ხშირად სარგებლობს.

ჩვენი პარტიის ბელადმა ამხ. სტალინმა თავისი უკანასკნელი წერილით—„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხებზე“—მთელი სიღრმე-სიგანით, მთელი ბოლშევიკური პირდაპირობით დასვა პარტიის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა მთელს ჩვენ მუშაობაში რადიკალურად ვიბრუნოთ პირი იმ ამოცანებისკენ, რომლებიც დაისახა ჩვენს წინაშე იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე.

როგორია მდგომარეობა იდეოლოგიურ ფრონტზე საქართველოში?

საქართველოს კომპარტიამ და მასთან ერთად თბილისის ორგანიზაციამ ამ ფრონტზე უეჭველ წარმატებებს მიაღწიეს:

გავანადგურეთ კონტრ-რევოლიუციონური მენშევიზმი და ტროცკიზმი;

გავანადგურეთ მემარჯვენე გადახრა, ნაციონალ-უკლონიზმი;

გავაჩაღეთ ბრძოლა კონდრატიეველობასთან და ჩვენთვის უცხო სხვა იდეოლოგიებთან.

ინტელიგენციის ძირითადი მასა, მათ შორის ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალებიც, გადაჭრით გადმოვიდენ ჩვენს მხარეზე და ჩვენთან ერთად მუშაობენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ამ წარმატებათა მიუხედავად, კლასობრივი მტერი ჯერ კიდევ არ არის განადგურებული, იგი ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები იდეოლოგიურ ფრონტზე.

1. ჩვენში, საქართველოში, რეაქციონური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის გამომხატველნი არიან გრიგოლ გიორგაძის, სეით დევდარიანის, ი. ჯავახიშვილის, დ. თოფურიძის და მათ მსგავსთა ტიპის ადამიანები.

ამ ხალხს, თავისი იდეოლოგიის, თავისი აზროვნობის გამო, არ შეუძლია არ ებრძოლოს მარქსიზმ-ლენინიზმს.

მათთან საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა. კლასობრივ მტერთან პოლემიკას არ მართავენ, მას ანადგურებენ.

სამწუხაროდ, მოგვეპოვებიან ცალკეული ამხანაგები, რომელნიც დამპალ ლიბერალიზმს იჩენენ მათ მიმართ, **„ეკამათებიან მათ, ამბობენ, რომ ისინი ცდებიან, ბრალს სდებენ, რომ ისინი სწორად არ სწერენ“.**

ასეთი ლიბერალები ჩვენს პარტიაში დაუნდობლად უნდა ვამხილოთ, უწყალოდ უნდა მოვცხოთ იმათ, ვინც ჩვენ მტრებს—რეაქციონურ პროფესურას და მენშევიკებს—ტრიბუნას უთმობს და საშუალებას აძლევს გამოსცენ ანტილენინური, ანტიმარქსისტული კონტრ-რევოლიუციონური წიგნები და ამ წიგნებით აღზარდონ ახალგაზრდა თაობა.

რასა ჰგავს, ამხანაგებო, როდესაც ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ც. კ.-ის ძველი ხელმძღვანელობის ლოცვა-კურთხევით წმინდა წყლის მენშევიკს (კლასობრივ მტერს) სეით დევდარიანს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ტრიბუნას უთმობენ? ზოგიერთი ჩვენი უდიდესი ავტორიტეტით აღჭურვილი ამხანაგი ყურს უგდებდა დევდარიანის ოთხსაათიან მენშევიკურ სიტყვას და მკვეთრი ბოლშევიკური პასუხიც კი არ გასცა მას.

პასუხი უნდა მოვთხოვოთ იმ ორგანიზაციებსაც, რომელნიც ბეჭდავენ ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ წიგნებს და ხალისით აძლევენ ჩვენ მტრებს საამისო სახსრებს და მასალას.

მენშევიზმისა და მებრძოლი ნაციონალიზმის კონტრ-რევოლიუციონური იდეოლოგია საბოლოოდ უნდა გავანადგუროთ, მთლიანად უნდა მოვსპოთ.

2. არიან პარტიის ისეთი წევრები, რომელნიც სხვა ბანაკიდან მოვიდენ და ვერ განთავისუფლებულან უცხო იდეოლოგიისაგან. ისინი სარგებლობენ პარტიის წევრის მდგომარეობით და კონტრაბანდული ან პირდაპირი გზით გვაპარებენ იდეოლოგიას.

მაგალითისათვის დავასახელებ სიმონ ხუნდაძეს.

ამ ამხანაგს აქვს სოციალ-ფედერალისტური შეცდომების მთელი სისტემა. იგი დღემდე სდუმს. როგორც ეტყობა, მასთან და მის მსგავს ადამიანებთან საჭიროა უფრო გადაჭრილი ლაპარაკი. სწორი არ არის მათდამი ლიბერალური დამოკიდებულება.

3. არიან სხვა ამხანაგებიც, რომელთაც არ სურთ აღიარონ თავიანთი შეცდომები, ეს, პირველ ყოვლისა, ეხება ჩვენი ლიტერატურული ფრონტის ხელმძღვანელებს. პროლეტარული ლიტერატურა ჩამორჩა მიმდინარე დღის ამოცანებს, ამ ორგანიზაციამ დღემდე ვერ მოახერხა თავისი მუშაობის გარდაქმნა. ამხანაგები პროლეტმწერალთა ასოციაციიდან არ ატარებენ სავსებით სწორ ხაზს სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის მიმართ საქართველოში. ვერ ახერხებენ სწორი პოლიტიკის გატარებას მწერალთა ძველი ფენების დიფერენციაციისათვის.

აქ საჭიროა ბევრი რამის გაკეთება იმისთვის, რომ გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომები.

ამხანაგებს კი არ სურთ აღიარონ თავიანთი შეცდომები.

ეს არ ვარგა. ბოლშევიკებს ასეთი წესი არა აქვთ.

4. არიან ჩვენს წრეში სხვა ამხანაგებიც, რომლებსაც ცალკეული შეცდომები მოსდით.

სად უნდა ვეძიოთ ამ შეცდომების მიზეზი?

საქმე იმაშია, რომ ბევრი ჩვენი წითელი პროფესორი სწავლობდა დებორინთან, რუბინთან და ისინი, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან თავიანთი მასწავლებლების ტვირთისაგან, მათი შემცდარი შეხედულებებისაგან.

როგორ უნდა მოვექცეთ ამ ამხანაგებს?

ისინი უნდა გავაკრიტიკოთ ბოლშევიკური სიმკაცრით ბოლშევიზმის პრინციპიალური პოზიციებიდან, უნდა დავეხმაროთ მათ შეიგნონ თავიანთი შეცდომები. აქ საჭიროა პარტიის დახმარება და არა ლანძღვა, არა სხვადასხვა სახელის გამოგონება მათთვის, თუ კი ისინი აღიარებენ ამ შეცდომებს და ბოლშევიკურად შეუდგებიან მათ გამოსწორებას.

აღარ შევჩერდები, ამხანაგებო, მთელ რიგ სხვა საკითხებზე, ამაზე დაწვრილებით ვილაპარაკეთ პარტიულ აქტივზე.

მხოლოდ მინდა შევეხო ერთ საკითხსაც, რომელიც ჩვენში, საქართველოში, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ,

ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა, დაუნდობლად, სისტემატიურად და მუდმივად ვებრძოლოთ როგორც რუსულ დიდმპყრობელურ შოვინიზმს, რომელიც დღევანდელ ეტაპზე მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, ისე ნაციონალ-უკლონიზმს.

ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმის რეციდივებთან საქართველოში მოვალეობაა ყოველი ბოლშევიკის, ყოველი კომუნისტის რომელიც ამიერ-კავკასიის პირობებში მუშაობს. როგორც სავსებით სწორად სთქვა ამხ. მამია ორახელაშვილმა თბილისის პარტაქტივზე, უნდა დაუნდობლად ვებრძოლოთ უკლონისტურ გრიმასებს, რასაც ადგილი აქვს, სხვათა შორის, ზოგიერთი კომუნისტის ნაწერებშიაც.

ორიოდე სიტყვით შევეხები მდგომარეობას თეატრალურ ფრონტზე.

ჩვენ აქ, ამ ფრონტზე, უეჭველად დიდი მიღწევები გვაქვს, მაგრამ არის არაჯანსაღი მოვლენებიც. ცნობილია მტრობა ჩვენ ორ დრამატიულ თეატრს შორის, მტრობა, რომელსაც [illegible] და აღრმავებენ [illegible]ტელები, მეჩანები და ისეთი ხალხი, რომელიც მზად არის აქედან „პოლიტიკური საკითხი“ შექმნას [illegible] ერთხელ კიდევ [illegible]ბას. სამწუხაროდ, ამ ბრძოლაში ჩაბმულ იქნენ პარტიის [illegible] და კომკავშირელებიც [illegible] მუშაობენ.

ძირიან-ფესვიანად უნდა მოისპოს ეს.

ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ამ ერთმანეთის კბენას.

ჩვენ თეატრებს შორის უნდა დამყარდეს სოციალისტური შეჯიბრებიდან გამომდინარე დამოკიდებულება.

ჩვენი თეატრები პირისპირ უნდა მიუდგნენ სოციალისტური მშენებლობისა და მუშათა კლასის კულტურული მოთხოვნილებების საუკეთესოდ დაკმაყოფილების საკითხებს. ამ თეატრების მუშაობა ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ ისინი სავსებით და მთლიანად ემსახურონ პროლეტარიატს. თეატრალურ ფრონტიდან განდევნილი უნდა იქნას უცხო იდეოლოგია.

მხოლოდ ამ საფუძველზე შევძლებთ წინსვლას ამ ფრონტზედაც.

ასეთია ამხანაგებო, ზოგადი ხაზებით მდგომარეობა იდეოლოგიურ ფრონტზე.

რა უნდა გავაკეთოთ?

1. უნდა ვაწარმოოთ დაუნდობელი ბრძოლა მენშევიკურ და ტროცკისტულ რეაქციონურ-ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციონურ იდეოლოგიასთან. უნდა გვახსოვდეს, რომ კლასები ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობენ, რომ კლასობრივი ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება.

2. დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ დამპალ ლიბერალიზმს და ამოვფხვრათ იგი ყოველი კომუნისტის შეგნებიდან, ყველა ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკიდან.

3. უნდა ავიყვანოთ ბოლშევიკურ პრინციპიალობამდე ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე, გამოვამჟღავნოთ ჩვენი სამეცნიერო კომუნისტური კადრების ცალკეული შეცდომები.

4. უნდა გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა სამეცნიერო მუშაკებს—კომუნისტებს შორის. გავაძლიეროთ [illegible] თეორიული ბრძოლის ფრონტზე.

5. მედგრად უნდა ვებრძოლოთ მარქსისტულ-ლენინური მომზადების დონის შემდგომი ამაღლებისათვის როგორც პარტიაში, ისე კომკავშირში.

6. ჩვენი სამეცნიერო კადრების ყურადღება უნდა მივმართოთ სოციალისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემების დამუშავებისკენ.

7. გულმოდგინედ უნდა შევუდგეთ სამეცნიერო ფრონტის მდგომარეობის საკითხების დამუშავებას, მჭიდროთ დავუკავშიროთ ეს ფრონტი პროლეტარულ საზოგადოებრიობას და დავაჩქაროთ ჩვენი სამეცნიერო კადრების გამუშურების საკითხის გადაჭრა.

8. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ საჭიროა ბრძოლა ამ ფრონტზე იდეოლოგიური ხაზითაც.

IX. პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, პარტორგანიზაციის ზრდა და მოწესრიგება

ამხანაგებო, გადავდივარ ჩვენი ორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების საკითხებზე.

მიმდინარე 1932 წლის პირველ იანვრისათვის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებში ითვლიდა 18.084 წევრს და კანდიდატს. 1931 წლის პირველ იანვრისათვის ორგანიზაციაში ირიცხებოდა 14.947 წევრი და კანდიდატი.

ამრიგად, პარტიული ორგანიზაციის ზრდა წლის განმავლობაში გამოიხატა 3.087 წევრისა და კანდიდატის მომატებით, ე. ი. ზრდა უდრიდა 20,3 პროც., წევრებისა და კანდიდატების საერთო რაოდენობიდან პარტიაში ირიცხებოდა წევრი 12.993, კანდიდატი—5.091.

სოციალური მდგომარეობით ორგანიზაციაში არის: მუშა—13.122 ან 72,7 პროც., გლეხი—1.407 ან 7,7 პროც., მოსამსახურე და სხვ.—3.555 ან 19,6 პროც.

მოსაქმეობის მიხედვით ორგანიზაციაში არის: წარმოების მუშა—8.101 ან 44,7 პრ., მოსწავლე—3.210 ან 7,7 პროც., მოსამსახურე—5.936 ან 32,8 პროც.

ქალთა სექტორის ხვედრითი წონა ორგანიზაციის შემადგენლობაში უდრის 8 პროც.

კომკავშირელთა ხვედრითი წონა—20,1 პროც.

ორგანიზაციის შემადგენლობაში მოსაქმეობის მიხედვით წარმოების მუშათა ხვედრითი წონა შემცირდა 54,7-დან 44,7 პროცენტამდე ან 10 პროცენტით, ამასთან გადიდდა მოსამსახურეთა ხვედრითი წონა 27,8-დან 32,8 პროცენტამდე ან 5 პროცენტით, ხოლო მოსწავლეთა ხვედრითი წონა—8-დან 17,7 პროცენტამდე ან 9,7 პროცენტით.

თუ ავიღებთ 1931 წლის განმავლობაში მიღებულთა შემადგენლობას, მოსაქმეობის მიხედვით წარმოების მუშები ამ შემადგენლობაში შეადგენენ 93,3 პროც.

ამრიგად, დიდი ხარისხობრივი გაუარესება ორგანიზაციის შემადგენლობაში 1932 წელს (წარმოების მუშების ხვედრითი წონის შემცირება, მოსამსახურეთა და მოსწავლეთა ხვედრითი წონის გაზრდა) ძირითადათ უნდა მიეწეროს ორგანიზაციაში მომხდარ მოძრაობას.

პარტიაში 1931 წელს ახლად მიღებულთა შემადგენლობა ხარისხობრივად დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ ამავე დროს დამაკმაყოფილებლად ვერ ჩავთვლით პარტიაში, განსაკუთრებით თბილისის ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების ტემპებს. ასე, მაგალითად, თბილისის ორგანიზაციამ არა თუ არ გააძლიერა მუშაობის ტემპები პარტიაში მიღების დარგში, არამედ შეანელა კიდეც. 1930 წელს მიღებული 2.575 კაცის ნაცვლად, 1931 წელს მან მიიღო 2.365 კაცი, ე. ი. შემცირება უდრის 10,3 პროცენტს.

თბილისის პარტიულ ორგანიზაციას კი უეჭველად ჰქონდა შესაძლებლობა გაეძლიერებია ახალ შევსებათა პარტიაში მიღების ტემპები.

ამ შესაძლებლობას იძლევა მუშათა კლასის ის დიდი ლტოლვა პარტიაში, რომელიც, სოციალისტური მშენებლობის წარმატებებთან დაკავშირებით, დაეტყოთ თბილისის მუშებს თუნდაც ქვედა პარტორგანოების უკანასკნელი საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის მსვლელობაში.

ამ შესაძლებლობას იძლევიან მუშათა აქტივის დაუშრეტელი კადრები, საუკეთესო მუშა-კომკავშირელები და სხვ. საჭიროა მხოლოდ ამ მუშაობის ბოლშევიკურად აყვანა სათანადო სიმაღლეზე.

საჭიროა სისტემატიურად და დღითიდღე გარკვევა და განხილვა ისეთი საკითხებისა, როგორიც არის პარტიაში მიღება სოციალისტური მშენებლობის მუშა-დამკვრელებისა ხელმძღვანელ მოწინავე საამქროებიდან და საწარმოებიდან.

პარტმუშაობის გარდაქმნის საკითხები

მას შემდეგ, რაც მოხდა საქალაქო რაიპარტკომების ლიკვიდაცია, მუშაობა პარტმუშაობის სიმძიმის ცენტრის შემდგომი გადატანისთვის საამქროებსა და ბრიგადებში, როგორც ცნობილია, საგრძნობლად შესუსტდა, ხოლო ბევრ შემთხვევაში მუშაობას საამქროებსა და ბრიგადებში ასუსტებდა საუწყებო პარტკოლექტივების შექმნა.

როგორც დამახასიათებელ მომენტზე, საჭიროა შევჩერდეთ ამხ. სტალინის სახელობის ფეხსაცმელის ფაბრიკაზე.

ეჭვს გარეშეა, რომ 26 კომუნარის რაიონის ისეთ ხელმძღვანელ საწარმოს, როგორიც არის ეს ფაბრიკა, შეუძლია—და მან უნდა შესძლოს კიდეც—სანიმუშოდ დააყენოს მუშაობა ქვედა რგოლში. ნამდვილად კი რა მოხდა? მოხდა ის, რომ რაიონისა და ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გადარჩევის კამპანიამდე არსებითად არაფერი არ გააკეთეს მუშაობის მოსაგვარებლად ფაბრიკის ქვედა რგოლებში (არ შემოუღიათ პარტორგანიზატორთა ინსტიტუტიც კი).

ცხადია, საქმის ამგვარად გაძღოლის დროს ზედმეტია ლაპარაკი ფაბრიკაში მასიური მუშაობის გაშლაზე ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტია, ამ საკითხის გამო არა ერთხელ გამოტანილ თავის გადაწყვეტილებებში.

ეს მხედველობაში უნდა მიიღონ ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელთა ამოცანასაც ამჟამად, როცა მათ, ქვედა პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით, უკვე დაამთავრეს თავიანთი მუშაობის საორგანიზაციო გარდაქმნა, შეადგენს ის, რომ ახლად შექმნილი ქვედა პარტრგოლები გადაიყვანონ პრაქტიკულ კონკრეტულ-ოპერატიულ მუშაობაზე.

როგორც ცნობილია, რაიონული პარტიული კომიტეტების შექმნის შემდეგ და მუშაკთა სათანადო კადრებით რაიკომების განმტკიცებასთან დაკავშირებით (ეს უკვე თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ), დაისახა დიდი გარდატეხა ისეთ საქმეში, როგორიც არის პარტიულ-მასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრის ნამდვილად გადატანა საამქროსა და ბრიგადაში.

ქვედა პარტორგანოების ამას წინად დამთავრებული დეკემბრის საგადარჩევო კამპანიისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი იყო ის გარემოება, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, საკ. კ. პ. (ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებასთან შეფარდებით, ბოლშევიკურად მოჰკიდეს ხელი პარტიული მუშაობის განმტკიცებას საამქროში, ბრიგადაში, რგოლში.

პარტიული ორგანიზაციების ამ მუშაობას,—მუშაობას, მიმართულს ქვედა რგოლის—საამქროს, ბრიგადის, აგრეგატის—განმტკიცებისაკენ, ყველაზე ნათლად ცხად ჰყოფს სამი ციფრი—550 სარგოლო უჯრედი, პარტჯგუფი და პარტორგანიზატორი, 13 საუბნო და 41 საამქრო უჯრედი, რომლებიც ახლად მოეწყო ქვედა პარტორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პროცესში.

მაგრამ, მიუხედავად ამ წარმატებისა, რომელიც მიღწეულ იქნა პარტიული მუშაობის საორგანიზაციო გარდაქმნის საქმეში, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ უაღრესად ჩამოვრჩებით საბჭოთა და კოოპერატიული უჯრედების მუშაობის გარდაქმნის ხაზით.

უნდა განვამტკიცოთ და უფრო მეტად გავაძლიეროთ მუშაობა ქვედა პარტიული რგოლის ბოლშევიკური განმტკიცებისთვის, ბევრად უფრო მაღლა ავწიოთ პარტორგანიზატორების, პარტჯგუფებისა და რგოლ-უჯრედების როლი, რომელთა დიდი უმრავლესობის მუშაობაც, როგორც ქვედა პარტორგანოების საგადარჩევო კამპანიამ გვიჩვენა, მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

უზრუნველვყოთ უჯრედების მუშაობის არა ფორმალური, არამედ ნამდვილი გარდაქმნა,—ეს არის მთავარი, ეს არის თბილისის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი გადაუდებელი ამოცანა.

თვითკრიტიკისა და შინაპარტიული დემოკრატიის საკითხები

ეხლა უკვე დამტკიცებულია, რომ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქ. ც. კ-ის და თბილისის კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა, რომელიც მხარს უჭერდა ანტიპარტიულ დაჯგუფებას აზერბეიჯანისა და ბაქოს პარტორგანიზაციებში, პრაქტიკულად ახორციელებდა თვითკრიტიკის ჩახშობის სისტემას.

ამას ყველაზე უკეთესად ადასტურებს „ზარია ვოსტოკა“-ს პარტკოლექტივის და სხვა პარტორგანიზაციების საქმე, იმ ორგანიზაციების, რომელნიც თბილისის კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის გარეშე და დაუკითხავად გამოეხმაურენ დაჯგუფებასთან ბრძოლას აზერბეიჯანისა და ბაქოს ორგანიზაციებში.

საჭირო არ არის შევჩერდეთ იმაზე, რომ ისეთ პირობებში, როდესაც საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქ. ც. კ-ის და თბილისის კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა პრაქტიკულად ახორციელებდა თვითკრიტიკის ჩახშობის სისტემას, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა შინაპარტიულ დემოკრატიაზე და თვითკრიტიკაზე, რომელიც „უნდა წარმოადგენდეს ჩვენი განვითარების წინსვლის ერთ-ერთ სერიოზულ ძალას“ (სტალინი).

მხოლოდ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქ. ც. კ-ის და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი თვითკრიტიკის ნამდვილად გაშლა.

ამას მოწმობს ქვედა პარტორგანოების უკანასკნელი საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია, რომელსაც ახასიათებდა პარტიის წევრებისა და მუშების უაღრესად დიდი პოლიტიკური აქტივობა: პარტიის წევრები და მუშები ამჟღავნებდენ დეფექტებს, პარტიული ხაზის დამახინჯებას სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში.

თუ რამდენად გაშალა თბილისის პარტორგანიზაციამ თავისი ძველი ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ თვითკრიტიკა და შინაპარტიული დემოკრატია,—ამას მოწმობენ ქვედა პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ციფრობრივი შედეგები.

როგორია ეს შედეგები?

1. 7.000 კომუნისტზე მეტის ჩაბმა თვითშემმოწმებელ მუშაობაში, ე. ი. ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში ქვედა პარტორგანოების მოქმედების შესამოწმებლად.

2. უჯრედთა ბიუროების საგადარჩევო კრებებზე კომუნისტთა, კომკავშირელთა და უპარტიო მუშათა დასწრების დიდი პროცენტი სათანადოთ უდრის 87,6 პროც., 76,4 პროც. და 55,8 პროცენტს.

3. ქვედა პარტრგოლების საგადარჩევო კრებებზე კომუნისტთა, კომკავშირელთა და უპარტიო მუშათა დასწრების დიდი პროცენტი; ეს პროცენტი სათანადოდ უდრის 87,8 პროც. 60,1 პროც. და 64,1 პროც.

4. უჯრედთა ბიუროების საანგარიშო მოხსენებების განხილვაში კომუნისტების მონაწილეობის დიდი პროცენტი. ამ პროცენტმა 26-ს მიაღწია.

5. ქვედა პარტრგოლების ორგანიზატორთა საანგარიშო მოხსენებების განხილვაში

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

კონფერენციის მისალმებანი

ბაქოს პარტკონფერენციას—ამხ. პოლონსკის

მხურვალე ბოლშევიკური სალამი თბილისის ბოლშევიკებისა და პროლეტარებისაგან ბაქოს ბოლშევიკების—ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი რაზმის მე-20 პარტკონფერენციას.

თქვენი ბრძოლა რევოლიუციონური წარსულის ტრადიციებისადმი ერთგულების საფუძველზე, თქვენი რევოლიუციონური სიფხიზლე პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ჩვენთვის იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ლენინიზმის პრინციპების დაცვა თეორიასა და ყოველდღიურ პრაქტიკაში ყველა ჯურის—ოპორტუნისტების იერიშებისაგან.

ბაქოს ბოლშევიკების უდიდეს დამსახურებას ამიერ-კავკასიის ყველა პარტიული ორგანიზაციების წინაშე წარმოადგენდა სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე-„მემარცხენო“ თვალთმაქცური ბლოკის გაბედული მხილება, ბრძოლა უპრინციპო დაჯგუფებისა და „ატამანშჩინის“ წინააღმდეგ, საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების წინააღმდეგ.

ნავთის ხუთწლიანი გეგმის შესრულება 2 ნახევარ წელიწადში, გამარჯვება ბრძოლაში საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობისათვის ბამბის ხაზით და მეორე ხუთწლედში ამიერ-კავკასიის გადაქცევისათვის საბჭოთა კავშირის ბამბის მეორე ბაზად—წარმოადგენენ ახალ ბრწყინვალე ფურცლებს, რომელიც ჩასწერეთ სოციალიზმისა და პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის ისტორიაში.

თქვენ მიერ მიღწეული წარმატებანი ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმას, რომ თქვენ შეგიძლიათ ბოლშევიკურად შეათანხმოთ მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლიუციონური თეორია სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ მიბაძა თქვენს მაგალითს და დაუზოგავად გაანადგურა თავის რიგებში დაჯგუფების და „ატამანშჩინის“ ელემენტები, რომელთაც ნერგავდა საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა და საეჭვოდ გაეხადა თბილისის ბოლშევიკებს შორის ამ ხაზის სისწორე, რომელიც აიღო ბაქოს ორგანიზაციამ ჯგუფობრიობასთან ბრძოლაში, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ბოლშევიკური პარტიულობისა და მონოლიტური შემჭიდროებისათვის ბრძოლაში.

საკ. კ. პ. (ბ) 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესრულებით, ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციით, ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომების გამოსწორებით თბილისის პარტორგანიზაცია მიდის ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

კიდევ უფრო შევმჭიდროვდეთ ხელიხელ ჩაკიდებული საბრძოლველად პარტიის გენერალური ხაზისათვის, ყოველი ჯურის ოპორტუნიზმის, კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის გამოლაშქრების. ტროცკისტული კონტრაბანდისტების წინააღმდეგ, დიდი ლენინის დროშის სიწმინდისათვის.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით!

გაუმარჯოს ბაქოს ბოლშევიკებს!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტს—ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მებრძოლ შტაბს!

გაუმარჯოს აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტს ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას ამხ. პოლონსკის მეთაურობით!

ნაციონალური ლენინური პოლიტიკის დროშით, დროშით ამიერ-კავკასიის ფედერაციის, რომელიც მტკიცდება ნაციონალური რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლის საფუძველზე, წინ ახალი გამარჯვებებისაკენ!

კონფერენციის პრეზიდიუმი.

ბაქოს ბოლშევიკების მისალმება თბილისის პარტკონფერენციას

ბაქოდან ამხ. მელაძის სახელზე მიღებულია ბაქოს პარტკონფერენციის შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ბაქოს მე-20 პარტიული კონფერენცია ბოლშევიკურ სალამს უგზავნის თბილისის მომძმე ორგანიზაციას.

ესალმება რა თბილისის კონფერენციას—თბილისის პროლეტარიატის—სოციალისტური მშენებლობის საბრძოლო ტემპებისათვის, პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად გატარებისათვის, „ატამანშჩინის“ და დაჯგუფების ნაშთების ლიკვიდაციისათვის მებრძოლთა და ორგანიზატორების ავანგარდს, ბაქოს პარტკონფერენცია გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ბაქოს, თბილისის და მთელი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, რომლებიც დღეს—ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავის მიჯნაზე აჯამებენ თავიანთ უდიდეს სამეურნეო-პოლიტიკურ მიღწევებს, გასწევენ წინ და ამიერ კავკასიის ფედერაციის განმტკიცებით მიაღწევენ ახალ და ახალ გამარჯვებებს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თბილისის ბოლშევიკები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ პარტიის გენერალური ხაზისა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის ნაცადი მებრძოლები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მეთაურობით ბაქოს ორგანიზაციასთან ერთად იქნებიან საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 31 ოქტომბრის ისტორიული გადაწყვეტილების და ამხ. სტალინის ექვსი მითითების შესრულებისათვის ბრძოლის პირველრიგებში.

გაუმარჯოს თბილისის ორგანიზაციას თავისი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთაურობით!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ბოლშევიკურ საფუძვლების განმტკიცებას!

გაუმარჯოს ამ.-კავკ. სამხარეო კომიტეტს—ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების შტაბს!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ ც. კ.-ს და ჩვენი პარტიის და კომინტერნის ბელადს ამხ. სტალინს (ადს).

ამხ. სიხაშვილის მოხსენების და ამხ. მელაძის და სიხაშვილის მოხსენებათა გამო გამართულ კამათის ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

კომუნისტების მონაწილეობის დიდი პროცენტი; ამ პროცენტმა 28-ს მიაღწია.

6. საანგარიშო - საგადარჩევო კრებების შედეგად 71 უჯრედის ბიუროს და ქვედა პარტრგოლის 115 ორგანიზატორის მუშაობის მიჩნევა სუსტად და არადამაკმაყოფილებლად.

7. უჯრედთა ბიუროებისა და მდივნების, აგრეთვე ქვედა პარტრგოლების ორგანიზატორთა შემადგენლობის განახლება, ამასთან მარტო პარტორგანიზატორთა ხაზით ამ განახლებამ 88,1 პროცენტს მიაღწია.

8. ქვედა პარტორგანოების მთელი რიგი განმეორებითი საგადარჩევო კრებები, ჩატარებული თბილისის კომიტეტისა და რაიკომების პირდაპირი მითითებით რაც გამოწვეული იყო შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის ფაქტებით თბილისის პარტიული ორგანიზაციის ცალკეულ რგოლებში.

ეს ციფრები, ეჭვი არ არის, ადასტურებენ იმ წარმატებას, რომელსაც თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ მიაღწია შინაპარტიული დემოკრატიის განმტკიცებისა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის საქმეში.

მაგრამ ისეთი ფაქტები, როგორიც არის, მაგალითად, თვითკრიტიკის უხეში ჩახშობა ა.-კ. კომუნივერსიტეტში, თბილისის დეპოს ასორთქლმავლო უჯრედის ბიუროს მუშაობის დამაკმაყოფილებლად ცნობა იმის აღუნიშნავად, რომ უჯრედის ბიურომ არ უზრუნველჰყო უმნიშვნელოვანესი პარტიული დირექტივის შესრულება საორთქლმავლო ბრიგადების გაწყვილებული სვლის შესახებ (რაც შემდეგში უჯრედის მიერ გამოსწორებულ იქნა თბილისის კომიტეტის პირდაპირი მითითებით) და მთელი რიგი სხვა ფაქტები მოწმობენ, რომ თბილისის პარტიული ორგანიზაციის ცალკეულ რგოლებში ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის ხაზით ჯერ კიდევ უკმარი რიგზე არ არის.

ჩვენი ამოცანები

ამხანაგებო, ამოცანა იმაშია, რომ ჩვენი ორგანიზაციის მთელი ძალღონე და ნებისყოფა ავამოქმედოთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებებისა და ამხ. სტალინის ექვსი მითითების შესასრულებლად.

ამოცანა იმაშია, რომ თბილისის ორგანიზაციის მთელი ძალ-ღონე და ნებისყოფა მივმართოთ ხუთწლედის მეოთხე, დამამთავრებელი წლის საბრძოლო დავალებათა შესრულებისაკენ.

ყოველნაირად უნდა განვამტკიცოდ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა და წითელი არმიის —რევოლიუციის ქვეყნის ერთგული გუშაგი—საბრძოლო ძლიერება.

წინანდებურად უნდა ვიცავდეთ ლენინური პრინციპების სიწმინდეს, წინანდებურად მაღლა უნდა გვეჭიროს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა, ამავე დროს განმანადგურებელი მახვილი უნდა ჩავცეთ კლასობრივ მტერს, საბოლოოდ გავანადგუროთ იგი და მისი აგენტურა —მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები და მათთან შემარიგებელნი.

პარტიული და ყველა სხვა მასიური პროლეტარული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის საქმის დამთავრებისა და ამ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველზე, მუშაობის სიმძიმის ცენტრის საამქროებსა და ბრიგადებში გადატანის საფუძველზე —უნდა მივაღწიოთ მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის გეგმების შესრულებას 1932 წელს.

ამ ამოცანების შესრულება შეიძლება მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანთ ბოლშევიკურ თვითკრიტიკას და შინაპარტიულ დემოკრატიას.

ამ ამოცანების შესრულება შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში, თუ უფრო გავაძლიერებთ პარტიული ორგანიზაციის იდეურ - ორგანიზაციულ მუშაობას, ვაწარმოებთ უფრო გადამწყვეტ ბრძოლას დაჯგუფებისა და უდისციპლინობის წინააღმდეგ, „ატამანშჩინის“ ელემენტების ნაშთების აღმოფხვრისათვის, ბოლშევიკურ შემჭიდროებისათვის პარტიის გენერალური ხაზის დასაცავად წარმოებულ ბრძოლაში.

პარტიის ხაზის ეს გამარჯვება მიღწეულ იქნა დაუნდობელი ბრძოლით კულაკთან და **მის აგენტურასთან ჩვენი პარტიის შიგნით, მემარჯვენე ოპორტუნისტებთან და „მემარცხენე“ გადახვევებთან ბრძოლაში.**

იგი მიღწეულ იქნა პროლეტარიატის გმირული მუშაობით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკურად გაშლისთვის და სოფლად ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ყოველნაირად განმტკიცებისათვის.

ამხანაგებო, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის დიდ წარმატებებს მივაღწიეთ პარტიის ხელმძღვანელობით, მისი გენერალური ხაზის საფუძველზე, ოპორტუნიზმის ყოველ გამოხატულებასთან ბრძოლაში, ჩვენი პარტიისა და საერთაშორისო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის მოხერხებული ხელმძღვანელობით.

„ჩვენი გამარჯვების საწინდარს წარმოადგენდა თავგამოდებული ერთგულება მუშათა კლასისა და კოლმეურნეების, რომელნიც უსაზღვროდ ენდობიან პარტიას და მის ბელადს.

ეს ერთგულება იქნება ჩვენი შემდგომი წინსვლის საწინდარი სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების გზაზე ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. პოსტიშევის გამოსვლა კრასნაია პრესნიას რაიონულ პარტკონფერენციაზე

ნება მიბოძეთ ცენტრალური კომიტეტის სახელით **კომუნისტური სალამი გადავცე კრასნაია პრესნიას რაიონის ბოლშევიკებს** (ტაში).

ამხანაგებო, კრასნაია პრესნიას რაიონის კონფერენციის, ისე როგორც ყველა ჩვენი პარტორგანიზაციების კონფერენციების მოწვევა ხდება ჩვენი ხუთწლედის მე-4 და უკანასკნელი წლის დასაწყისს. ეს კონფერენცია აჯამებს იმ ბუმბერაზული ბოლშევიკური ბრძოლის შედეგებს, რომელიც ჩაატარა მუშათა კლასმა ჩვენი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. უდიდესად დაძაბული ბოლშევიკური მუშაობის სამი წელი. როცა ამ მუშაობის შედეგებს ვაჯამებთ, ჩვენ რომლებიც შევიჩვიეთ ჩვენს პირობებს და უშუალოდ ვღებულობთ ყოველდღიურ მონაწილეობას ამ ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობისათვის, —ჩვენ ამ მიღწევებში არაფერს არაჩვეულებრივს არ ვხედავთ. ამავე დროს ამ სამი წლის მიღწევები მართლაც არაჩვეულებრივია.

ავიღოთ ჩვენი ქვეყანა თუნდაც 1927-28 წ. წ. პერიოდში. შეიძლება თუ არა მისი გამოცნობა? ამ სამი წლის განმავლობაში იგი გამოიცვალა. ავიღოთ მიღწევები ინდუსტრიალიზაციის დარგში. ჩვენ აქ ისეთი გიგანტური მიღწევები გვაქვს, რომლებმაც რადიკალურად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე.

არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორ პირობებში სწარმოებდა ამ წარმატებათა მიღწევა. ჩვენ ამჟამად გვაქვს უდიდესი ქარხნები, რომლებიც მოწყობილია უაღრესად მოწინავე ტექნიკის საფუძველზე. ამ ქარხნების შესახებ აქ ალბად, უკვე ილაპარაკეს ამხ. რონლინმა და იმ ამხანაგებმა, რომლებიც გამოვიდნენ მისი მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დროს. განა ეს უდიდესი, გიგანტური მიღწევები არ არის? ჩვენ მივაღწიეთ განვითარების ისეთ ტემპებს, რომელთა შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ მათი აყვავების პერიოდშიაც კი.

⁂

რატომ ასე სწრაფად ვანხორციელებთ ისეთ ამოცანებს, როგორიცაა ჩვენი ქვეყნის, აგრარული და წარსულში ჩამორჩენილ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, იმიტომ, რომ ჩვენში ამ ამოცანებს სჭრის თვით პროლეტარული სახელმწიფო იმ, პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც მუშათა კლასის ერთად - ერთი ნამდვილი რევოლიუციონური პარტიაა.

ამჟამად სტალინგრადის ქარხანა გვაძლევს უკვე 120 ტრაქტორს დღეში, 5-6 თვის წინად კი სტალინგრადის პროლეტარები და სტალინგრადის პარტორგანიზაცია თავს იტეხდენ იმაზე, რომ დაეუფლებოდენ ტექნოლოგიურ პროცესს და დღეში უშვებდენ სულ 15-17-20 ტრაქტორს. ტრაქტორი —ეს მაღალი ტექნიკის მანქანაა. სტალინგრადის ქარხნის პროლეტარები და საინჟინრო - ტექნიკური პერსონალი ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით დაეუფლა ამ რთულ ტექნოლოგიურ პროცესს და მალე შეასრულებენ მთელ პროგრამას, სავსებით გამოიყენებენ ამ ქარხნის სრულ სიმძლავრეს.

ამჟამად სტალინის სახელობის ქარხნის (ამო) პროლეტარებიც იბრძვიან მათი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო რთული მანქანების —ავტომობილების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის დაუფლებისათვის. ნიჟნი-ნოვგოროდის ქარხნის მუშებიც შეუდგებიან ამ ამოცანის გადაჭრას და უსათუოდ გადაჭრიან.

თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ ერთდროულად კიდეც ვსწავლობთ და შემოქმედებით მუშაობასაც ვეწევით. ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ეს საჭიროა, რომ საბოლოოდ გავიმარჯვოთ.

ტრაქტორის შემდეგ ჩვენ უკვე ვიწყებთ სოფლისათვის ავტომობილის მიცემას. ეს—პირველი ნაბიჯია, როცა ტრაქტორს სოფელში თან მიჰყვება ავტომობილი. და ნაბიჯი მეტად სერიოზული. განა ეს უდიდესი მიღწევა არ არის? ამჟამად სტალინგრადის ქარხანა დღეში გვაძლევს 120 მანქანას, ხარკოვის— 45 მანქანას, „პუტილოვეცი“ — 85 მანქანას. წელს ამუშავდება ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა. ამუშავებულია და კიდევ ამუშავდება კომბაინების ქარხნები, უკვე ამუშავდა სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანა მოსკოვში, ამუშავდა ნიჟნი - ნოვგოროდის ამხ. მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა.

⁂

საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში ძირითადათ დავთავრდა მთლიანი კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. სოფელიც ეხლა სავსებით გამოიცვალა. სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ხედავენ ჩვენს ბრძოლას და მუშაობას, განცვიფრებული არიან სოციალისტური მშენებლობის მთელს ფრონტზე ჩვენ მიერ მიღწეული გამარჯვებებით.

ამჟამად ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს ვსთქვათ, რომ შექმნილია ტექნიკური ბაზა არა მარტო მთლიანი კოლექტივიზაციის საქმეში უკვე არსებულ მიღწევათა შესანარჩუნებლად, არამედ იმისათვისაც, რომ უფრო სწრაფი ტემპებით წავიდეთ წინ ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის გზით. ეჭვს გარეშეა. რომ ერთი წლის შემდეგ ჩვენ მივაწოდებთ სოფელს უფრო მეტ ტრაქტორებს, სატვირთო და მსუბუქ ავტომობილებს.

ეს—უდიდესი მიღწევაა.

რასაკვირველია, სიძნელეები ბევრია. სოფელში იმისათვის, რომ იაროს ავტომობილმა საჭიროა გზები. მაგრამ როცა იქნება ავტომობილი, იქნება გზებიც. სოფელში ჯერ კიდევ არ არის იმის საკმაო გამოცდილება, რომ დავეუფლოთ ტექნიკის ახალ მიღწევებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში, ასეთ გამოცდილებას ამერიკიდან ვერ გამოიწერ. ამერიკიდან შეიძლებოდა ტრაქტორის, კომბაინის გამოწერა. მაგრამ იმის გამოცდილება, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ტრაქტორი სოფლის ახალ სოციალისტურ მეურნეობაში, იქ არა აქვთ. ჩვენ გამოვსძებნეთ სამანქანო სატრაქტორო სადგურების ფორმა. ამჟამად მან მთლიანად და სავსებით გაამართლა თავისი თავი. მაგრამ ჩვენ უნდა გამოვსძებნოთ სულ ახალი და ახალი ფორმები, ახალი ტექნიკის ირგვლივ ჩვენ უნდა მოვაწყოთ შრომა, უნდა დავრაზმოთ ადამიანები. ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ გარდავქმნათ გუშინდელი მესაკუთრე გლეხი. ყოფ. მესაკუთრე გლეხის შეჩვევა კოლექტიურ შრომისათვის—ჩვენი უდიდესი ამოცანაა. კოლმეურნეს, რომელიც გუშინ ინდივიდუალური მეურნე იყო, ჯერ კიდევ აქვს მრავალი აღმოუფხვრელი წვრილმესაკუთრეობითი ტენდენციები. საკოლმეურნეო მშენებლობის ირგვლივ ამჟამად სწარმოებს გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა. კლასობრივი მტრის ეს წინააღმდეგობა, რომელსაც იგი უწევს კოლმეურნეობას, ჩვენ უნდა გავანადგუროთ მთელი ბოლშევიკური შეუპოვრობით და უნდა ვებრძოლოთ კოლმეურნის წვრილ-მესაკუთრეობითი ნაშთი.

საერთოდ თქვენ ხედავთ თუ რა გიგანტური სოციალისტური ბალანსით მივდივართ ჩვენ საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე.

ეხლა ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა კიდევ უკეთესად მოვემზადოთ იმისათვის, რომ დავამთავროთ ხუთწლედი ოთხწელიწადში.

⁂

იზრდება ჩვენი პარტია და კომკავშირი. ამ წლის განმავლობაში პარტია საგრძნობლად გაიზარდა და მას უკვე 2.600 ათასი წევრი და კანდიდატი ჰყავს, ხოლო კომკავშირი კი ორჯერ მეტად გაიზარდა. პარტიის და კომკავშირის რიგებში შევიდნენ საუკეთესო დამკვრელი პროლეტარები, სოციალისტური მშენებლობის უაღრესად აქტიური მონაწილეები. და ეს ჩვენ ბევრ რასმეს გვავალებს. იმისათვის, რომ მოვამზადოთ პარტიის ახალი წევრები და კომკავშირლები ხუთწლედის მეოთხე გადამწყვეტ წელში ბრძოლისათვის, ჩვენ უნდა ჩავატაროთ უდიდესი მუშაობა. მთავარი აქ —მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საკითხია.

ამ თემაზე მე არ ვილაპარაკებ, მის შესახებ ბევრი იყო ნათქვამი და ბევრიც დაიწერა. მაგრამ მე შევჩერდები **ამხ. სტალინის მიერ ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლიუცია“-სათვის გაგზავნილ წერილზე.** პარტიული ორგანიზაციები სწავლობენ ამ წერილს. ამხ. სტალინის წერილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მხრით, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიის წევრების აღზრდას, ვიდრე აქამდე. ის ყველა ჩვენგანს ავალებს ლენინის უფრო ღრმად შესწავლას. ამხ. სტალინის ეს წერილი გვავალებს ჩვენ გამოვიჩინოთ უფრო მეტი სიფხიზლე, მაგრამ ყველა პარტიული ორგანიზაციები როდი სწყვეტენ ამ ამოცანის სწორად. პრაქტიკულად. ამხ. სტალინის წერილმა მიგვითითა მთელი რიგი ამხანაგების მიერ დაშვებულ შეცდომებზე და იმაზე, რომ სიფხიზლის უქონლობა და ცალკე ამხანაგების მეტის მეტი ნდობა საშუალებას აძლევს ჩვენს მოწინააღმდეგეებს დაამახინჯონ პარტიის ისტორია, გააყალბონ იგი და ამა თუ იმ სახით გაატარონ ლენინის მოძღვრებისადმი მტრული განწყობილი იდეები და „თეორიები“, ხშირად იმის ნაცვლად, რომ დააყენონ ეს საკითხი სათანადო იდეიურ სიმაღლეზე, ზოგიერთი უჯრედები იდეიურობას ცვლიან უბრალო ადმინისტრატიული მეთოდებით.

მე მინდა გავუსვა ხაზი საკითხის ამ მხარეს. დაიწყეს პარტიიდან გამორიცხვა განურჩევლად, დაიწყო ამ საკითხის დასმა ისე, რომ იმის ნაცვლად, რომ ამხანაგურად დაეხმარონ შეცდომის დამშვებ ამხანაგს გამოასწოროს თავისი შეცდომა, მას ისე დაამუშავებენ, რომ ის სრულიად განადგურებული რჩება ან ყოველ შემთხვევაში ფრთებმოტეხილი მაინც. ეს არ არის სწორი. ამხ. სტალინმა დასწერა ეს წერილი იმისათვის, რომ გავეფრთხილებეთ, რომ იდეოლოგიურ ფრონტზე—მის უმნიშვნელოვანეს რგოლში არ არის საკმაო სიფხიზლე, ადგილი აქვს მეტის-მეტ ნდობას და დამპალი ლიბერალიზმის გამოხატულებას. ეს წერილი დაწერილია იმისათვის, რომ ადამიანებმა უკეთესად ისწავლონ ლენინიზმი, განსაკუთრებით ეს წერილი მიმართულია ჩვენი პარტიის აქტივისადმი, რომ აქტივისტებმა შეისწავლონ ლენინი, შეისწავლონ ჩვენი პარტიის ისტორია, დაინახონ ცალკე ამხანაგების ყველა შეცდომები და გამოასწორონ ისინი და რაც მთავარია დროზე დაინახონ ტროცკისტების და სხვა კონტრაბანდისტების გამოსვლა.

ამ წერილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაგრამ მან სრულიადაც არ მოუცია ისეთი მიმართულება, რომ ლენინიზმის ღრმად შესწავლა და ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობა ცალკე უჯრედებს შეეცვალათ ადმინისტრატიული მეთოდებს გამოყენებით. ეს იმ ორგანიზაციების შეცდომაა, რომლებმაც ვერ გაიგეს სწორად ამხ. სტალინის წერილის აზრი და დანიშნულება. უნდა შევძლოთ ადამიანის ცალკე შეცდომის გარჩევა შეხედულებათა სისტემისაგან. რასაკვირველია, ჩვენი პარტიის რიგებში არიან მალული ტროცკისტები, მაგრამ ერთია იმ დამალულ ტროცკისტების აღმოჩენა და გამოაშკარავება, რომლებიც სარგებლობენ ამა თუ იმ უბანზე ხანდისხან სიფხიზლის უქონლობით, მათი გამომჟღავნება და პარტიიდან გაძევება, ხოლო სულ სხვაა ამა თუ იმ ამხანაგის მიერ დაშვებულ შეცდომა, რომელიც აგრეთვე უნდა გავაკრიტიკოთ, მაგრამ გავაკრიტიკოთ ამხანაგურად, რომ მან შესძლოს მისი გამოსწორება. უნდა დავეხმაროთ მას გამოასწოროს თავისი შეცდომა და ამით გავაფრთხილოთ სხვები. არ იქნება სწორი ასეთი ამხანაგის უკლონისტად მონათვლა. ხანდისხან უჯრედში არიან ისეთი ამხანაგები, რომლებსაც დიდხანს ეძინათ, ხოლო შემდეგ მოინდომეს ერთბაშად თავის გამოჩენა. პარტიიდან გაძევება ხომ ყველაზე უფრო ადვილი საქმეა. პარტიიდან ხომ გავაგდეთ, ეხლა კი მოდით და იცხოვრეთ „მტერი“ უკვე აღარ არის. ეს [illegible] პასუხისმგებლობას თავიდან მოიხსნას. კრიტიკა საჭიროა უსათუოდ საჭიროა მუდმივი, ბოლშევიკური და ძლიერ გამჭრიახი სიფხიზლე. ჩვენს პარტიაში დამალული ტროცკისტები უნდა აღმოვაჩინოთ, გამოვამჟღავნოთ და გავაძევოთ პარტიიდან. უნდა შევვძლოთ ტროცკისტების გარჩევა ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც უბრალოდ ცდებიან და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივუდგეთ ყველას ერთი საზომით.

ამხ. სტალინის წერილიდან ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ ასეთი დასკვნა, რომ უფრო მეტად ფხიზლად ვიყოთ, უფრო მეტად შევისწავლოთ ლენინი და ამით ავამაღლოთ ჩვენი იდეურ-თეორიული დონე. მარქსისტულ-ლენინური აღზრდა ჩვენს პარტიაში მუდამ მაღლა იდგა, ამჟამად ეს ამოცანა უფრო მწვავედ სდგას. ჩვენ ბევრი ახალი პარტიის წევრი გვყავს. აიღეთ თქვენ კომკავშირი. სამი მილიონის ნაცვლად, მათ ეხლა 6 მილიონამდე წევრი ყავთ. ერთი წლის განმავლობაში კომკავშირის წევრთა რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა, კომკავშირში და განსაკუთრებით მის აქტივში მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საკითხი ამჟამად განსაკუთრებით მწვავედ სდგას. თუ თქვენ არ დაეხმარებით კომკავშირს, თვითონ ისინი ვერ გაართმევენ თავს ამ უდიდეს ამოცანას. აქ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აწევს პარტორგანიზაციებს, ვიდრე კომკავშირს. აქედან, რასაკვირველია, არ შეიძლება გავაკეთოთ ისეთი დასკვნა, რომ თითქოს კომკავშირელები მიიღებენ თავიანთ თავზე პასუხისმგებლობას მხოლოდ 50 პროც. რასაკვირველია აქ საქმე ჩვენ პროცენტებით კი არ უნდა გავზომოთ, კომკავშირის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის პასუხისმგებლობა უმეტესად აწევს პარტიულ ორგანიზაციებს, ვიდრე თვით კომკავშირს.

პარტიული ორგანიზაციების მხრით აგრეთვე სუსტია პიონერთა პოლიტმომსახურება, ხოლო ამჟამად ჩვენში პიონერი ის ხომ არ არის, რაც ამ სამი წლის წინად იყო, პიონერები იზრდებიან. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ დახმარება ბავშვთა მოძრაობისადმი.

ჩვენ უდიდესი მიღწევა გვაქვს ჩვენი პარტიის პოლიტიკურ ზრდაში. ჩვენი პარტიის წევრების იდეურ-პოლიტიკური დონე მაღლდება და მასთან ერთად იზრდება კომკავშირიც. ეხლა საჭიროა მხოლოდ ავამაღლოთ პარტიის ახალი წევრების დონე. იმ ანგარიშით, რომ ეს ახალი წევრები უფრო ჩქარა ჩადგნენ საერთო რიგში და გახდნენ უფრო აქტიურები, ვიდრე იყვნენ ისინი პარტიაში შემოსვლამდე.

აღმზრდელობითი მუშაობა განსაკუთრებით ეხლა ვითარდება, მაგრამ ჯერ კიდევ რიცხვობრივად. ხარისხი უნდა შევამოწმოთ დაახლოვებით სამი თვის შემდეგ და შევაფასოთ თუ როგორ გადიდდა რაოდენობა ხარისხში.

უნდა გავითვალისწინოთ ცალკე უჯრედების შეცდომები, რომელთა შესახებ მე აქ ვილაპარაკე ამხ. სტალინის წერილთან დაკავშირებით. აქ მაგარი მკლავის და ძალღონის გამოჩენა კი არ არის საკმაო, არამედ უნდა მივაღწიოთ ამ საკითხის დაყენებას ბოლშევიკურ-იდეურ სიმაღლეზე. (მქუხარე ტაში).

გაზეთ „პრავდა“-ს რედაქციის ამიერ-კავკასიის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა

17 იანვარს, საღამოს 7 საათისათვის სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში (რუსთაველის პრ. 41) იწვევს

მუშკორთა და შემდეგ დაწესებულებების კედლის გაზეთების რედკოლეგიების წევრთა კრებას

ა.-კ. მიწსახკომის, საქ. მიწსახკომის, ა.-კ. კოლმეურნცენტრის, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის, მებამბეობის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, „საქართველოს ჩაი“-ს, „სოიუზტაბაკ“-ის, ლაფნის ახალი კულტურების ტრესტის, ციტრუსოვან ნარგავთა ტრესტის, „სას. სამ. მომარაგების“.

სარედაქციო კოლეგიების თავმჯდომარეებს ვთხოვთ უზრუნველჰყონ მუშკორების რაც შეიძლება სრულად და დაუგვიანებლად დასწრება.

„პრავდა“-ს ამ.-კავკ. სრულუფლებიანი წარმომადგენლობა.

ამხ. სტალინის წერილი და იდეოლოგიური ფრონტი საქართველოში*)

პარტიის გენერალური ხაზის გადაუხრელად გატარების საფუძველზე, ჩვენ მივაღწიეთ გადამწყვეტ წარმატებას სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში, რაც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შინაგანი ძალებით უეჭველად აშენებას. სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია. საბჭოების ქვეყანა, საერთაშორისო პროლეტარიატის დასაყრდენი თანდათან თავს აღწევს ეკონომიურ დამოკიდებულებას კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. კოლმეურნეობებში უკვე გაერთიანებულია ღარიბ - საშუალო გლეხურ მეურნეობათა 60 პროცენტზე მეტი. კოლმეურნე გლეხობა გადაიქცა მიწადმოქმედების ცენტრალურ ფიგურად და საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენად სოფელში.

საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში ძირითადათ უკვე დავამთავრეთ მთლიანი კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს უკვე დავამთავრეთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის აშენება. პრობლემა „ვინ-ვის“ გადაჭრილია არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც. მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარებს უსასტიკესი კრიზისი, დღითი-დღე ღრმავდება კაპიტალისტური სისტემის ნგრევა, ძლიერდება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იზრდება ჩინეთის რევოლიუცია, ირყევა იმპერიალიზმის საფუძვლები კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში მშრომელთა მილიონიანი მასების ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აზვირთებით,—ამ დროს პროლეტარიატის ქვეყანა სწრაფად მიიწევს წინ და ანხორციელებს ამოცანას—სულ დიდი 10 წელს დაეწიოს და გაუსწროს ტექნიკურ-ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. კაპიტალისტური ქვეყნების, თვით მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მუშები მწვავე ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიან. უმუშევრობა უმაგალითოდ გაიზარდა. ამავე დროს კი ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა საბოლოოდ აღმოიფხვრა, ყოველდღიურად იზრდება დამკვრელების — სოციალისტური მშენებლობის მოწინავე რაზმების არმია. უმჯობესდება მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა. სოციალიზმის მშენებლობა განმანადგურებელ ლახვარს სცემს ჩვენს კლასობრივ მტრებს.

აგრეთვე რადიკალურად შეიცვალა კლასობრივ ძალთა განწყობილება ჩვენს ქვეყანაში. მთელს ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის შედეგად უფრო და უფრო იზღუდება კაპიტალისტური ელემენტების იაზა. მომაკვდავი კლასები უფსკრულისაკენ მიექანებიან. მაგრამ ეს არ მოასწავებს კლასობრივი ბრძოლის შესუსტებას. არა, კაპიტალისტური ელემენტების ნაშთები კვლავ გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ პროლეტარიატის დიქტატურას. სხვადასხვა ეტაპებზე მხოლოდ იცვლება კლასობრივი ბრძოლის გამოხატულების ფორმები. ლენინი ყოველთვის განსაკუთრებული სიძლიერით აღნიშნავდა იმ დებულებას, რომ „**პროლეტარიატის დიქტატურა არის კლასობრივი ბრძოლის გაგრძელება, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გაგრძელება ახალ ფორმებში. ამაშია მთავარი აზრი. ეს არ ესმით**“. პროლეტარიატის დიქტატურის მთელი პერიოდი არის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პერიოდი. „სწორედ მომაკვდავი კლასების წინააღმდეგობის გამოხატულებას წარმოადგენდნენ ლენინური ხაზიდან ყველა და ყოველგვარი გადახრები, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენი პარტიის რიგებში“ (სტალინი).

სოციალისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე ოპორტუნისტული მიმდინარეობანი ცვლიან თავიანთი ბრძოლის მეთოდებს. ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ოპორტუნისტებისათვის ძნელია პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა. ამიტომ ისინი მიმართავენ თავიანთ შეხედულებათა გაპარების ფარულ ფორმებს. ფორმალურად ისინი პარტიის ხაზს აძლევენ ხმას, მაგრამ საქმით ყოველნაირად ცდილობენ ეს ხაზი ჩაშალონ. ლენინიზმის წინააღმდეგ ასეთი ნიღაბაფარებული გალაშქრების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია ფარულ ტროცკისტ სლუცკის ცდა დაემახინჯებია ბოლშევიზმი, დაემახინჯებია ლენინის რევოლიუციონური მოღვაწეობის ისტორია.

I. ამხ. სტალინის წერილის მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობა

ამხ. სტალინის უკანასკნელ წერილს „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ აქვს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. თავის წერილში ამხ. სტალინმა მოგვცა მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლიუციონური თეორიის სულ ოდნავ დამახინჯებისადმი შეურიგებლობის კლასიკური ნიმუში.

პარტიამ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის და მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეინარჩუნა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის სიწმინდე. პარტიამ დაიცვა ლენინური მოძღვრება ჩვენი რევოლიუციის, როგორც პროლეტარული რევოლიუციის, ხასიათის შესახებ, მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საკუთარი ძალებით აშენების შესაძლებლობის შესახებ. პარტიამ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით დარაზმა მუშათა და გლეხთა მრავალმილიონიანი მასები პირველი ხუთწლედის უდიდესი ამოცანების განსახორციელებლად. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობამ სავსებით და მთლიანად დაადასტურა ამხ. სტალინის თეორიული პროგნოზების უეჭველი სისწორე. ამხ. სტალინის უდიდესი დამსახურება არის ლენინური მოძღვრების საფუძვლების შემდგომი განვითარება და მისი კონკრეტიზაცია სოციალიზმისათვის ბრძოლის ახალ პირობებთან შეფარდებით.

ორი წლის წინად, აგრარულ საკითხზე მომუშავე მარქსისტების კონფერენციაზე, ამხ. სტალინმა მისთვის დამახასიათებელი მარქსისტულ-ლენინური სიცხადით წამოაყენა ლოზუნგი, რომელმაც შექმნა ეპოქა ჩვენი რევოლიუციის განვითარებაში,— კულაკობის შეზღუდვის და შევიწროების პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლის ლოზუნგი. ამ სიტყვაში ამხ. სტალინმა მოგვცა კოლმეურნეობების, როგორც სოციალისტური ტიპის საწარმოების ბუნების ნამდვილად დიალექტიკური შეფასება, გააცამტვერა თვითმდინარების თეორია და წვრილ-გლეხური მეურნეობის „გამძლეობის“ თეორია, რომელიც წარმოადგენს მემარჯვენე ოპორტუნიზმის ერთ-ერთ საფუძველს.

ამხ. სტალინის წერილი „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ ყოველი კომუნისტის წინაშე ამოცანად სახავს გამოიჩინოს კლასობრივი სიფხიზლე იდეოლოგიური ფრონტის ყველა დარგებში, დაუზოგავად ამხილოს დამპალი ლიბერალიზმი, „**რომელიც ბოლშევიკების ერთ ნაწილში რამდენიმედ გავრცელებულია**“. ბოლშევიკური პარტია, მე-2 ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიებისაგან განსხვავებით, ემყარება რა მარქსის უკვდავ სიტყვებს იმის შესახებ, რომ თეორია ხდება ძალად, როცა იგი მასებს დაეუფლება,—ყოველთვის სათანადო ყურადღებას აქცევდა რევოლიუციონურ თეორიას, როგორც კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ მეტად ბასრ იარაღს.

ამხ. სტალინის წერილი ამახვილებს მთელი პარტიის, მუშათა კლასის და კომკავშირული ახალგაზრდობის ყურადღებას იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ფარულად, კონტრაბანდათ გაპაროს ჩვენს წრეში კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის და მემარჯვენე ოპორტუნიზმის შეხედულებანი. კონტრრევოლიუციონურ ტროცკიზმს, რომელიც პარტიამ გაანადგურა და მთელ მსოფლიოს მშრომელი მასების წინაშე ამხილა, აშკარად არ შეუძლია გამოვიდეს თავის შეხედულებათა დასაცავად. „**ამიტომ ოპორტუნიზმი ამჟამად ცდილობს შემოძვრეს ჩვენს რიგებში მალვით, მიტმასნებით, შელამაზებულად, მუცელზე ხოხვით, ცდილობს გაძვრეს პუპრუტანებში და განსაკუთრებით ცდილობს შემოძვრეს ჩვენი პარტიის ისტორიის ჭიშკრით**“ (კაგანოვიჩი).

II. სლუცკის და მსგავსი ფარული ტროცკისტების ცილისწამება ლენინის და მისი პარტიის წინააღმდეგ

ფარულმა ტროცკისტმა, გუშინდელმა მენშევიკმა სლუცკიმ ამოცანად დაისახა დაამტკიცოს ყალბი და მოჭორილი არგუმენტებით, რომ თითქო ლენინი (ხოლო მასთან ერთად მთელი ბოლშევიკური პარტიაც) ომამდე არ ატარებდა რევოლიუციონურ ხაზს. კონტრაბანდისტი სლუცკი ემყარება ამ ძირითად ტროცკისტულ მიზნობრივ თვალსაზრისს და ამტკიცებს, რომ ლენინი საკმაოდ არ აფასებდა ცენტრიზმის საფრთხეს გერმანიის და საერთოდ ომის წინადროინდელ სოციალ-დემოკრატიაში, რომ ლენინი, თითქოს, არ ატარებდა გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ოპორტუნისტებთან, ომის წინადროინდელი მე-2 ინტერნაციონალის ოპორტუნისტებთან გათიშვის ხაზს, რომ ლენინი და ბოლშევიკები დასავლეთის მემარცხენეთა შეფასებაში თავიანთ ფრაქციულ მოსაზრებებს ემყარებოდნენ. სლუცკი ცდილობს დაამტკიცოს, „რომ ლენინს არ ესმოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გადაქცევის საჭიროება, რომ მან ასეთი გადაქცევის საჭიროება შეიგნო მხოლოდ ომის შემდეგ, მას შემდეგ, რაც იგი ხელახლად შეიარაღდა ტროცკის დახმარებით“ (სტალინი). მთელი ეს ცილისწამება სლუცკიმ წამოაყენა ლენინის წინააღმდეგ. ბოლშევიზმის მთელი ისტორია გაჟღენთილია შეურიგებელი ბრძოლით ყოველი ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ჩვენთვის აქსიომაა ის დებულება, რომ ლენინი იმ თავიდანვე აწარმოებდა შეურიგებელ ბრძოლას ცენტრიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მკაფიო მაგალითია ბოლშევიკების ბრძოლა ლენინის მეთაურობით უპრინციპო „აგვისტოს ბლოკთან“, რომელიც წარმოადგენდა ცენტრისტულ მიმართულებას ტროცკის მეთაურობით ბოლშევიკები აწარმოებდნენ შეურიგებელ რევოლიუციონურ ბრძოლას ცენტრიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით. ლენინი გადაჭრით აკრიტიკებდა მემარცხენეებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში სწორედ იმისათვის, რომ ისინი ბოლომდე არ იყვნენ თანამიმდევარნი ცენტრიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ისინი უშვებდნენ ნახევრად მენშევიკურ შეცდომებს რევოლიუციონური მოძრაობის მთელ რიგ საკითხებში. ამიტომ ტროცკისტული კონტრაბანდისტის სლუცკის მიერ წამოყენებული დებულებანი წარმოადგენენ აშკარა ცილისწამებას ლენინისა და მისი პარტიის წინააღმდეგ.

სლუცკის ცილისწამებით აღსავსე დებულებათა ამ საერთო დახასიათების შემდეგ მინდა უფრო ვრცლად შევჩერდე მის ერთ ძირითად თეზისზე. მხედველობაში მაქვს სლუცკის ცრუ მტკიცება იმის შესახებ, რომ ლენინს თითქო არ ესმოდა ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გადაქცევის საჭიროება, რომ ეს საჭიროება მან შეიგნო მხოლოდ ომის შემდეგ ტროცკის დახმარებით.

ცნობილია, რომ ტროცკიზმი უარყოფს ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გადაქცევის ლენინურ თეორიას, მას უპირდაპირებს თავის პერმანენტული რევოლიუციის თეორიას. ამ თეორიაში პოულობს თავის ახსნას ტროცკიზმის ყველა პოლიტიკური პრობლემები, რამდენადაც იგი წარმოადგენს იმ ცენტრალურ ფოკუსს, სადაც თავს იყრის მისი ცალკე ნაწილების ყველა ძაფები; ტყუილად კი არ სთვლის ამხ. სტალინი ტროცკიზმის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად სწორედ პერმანენტული რევოლიუციის თეორიას. „ტროცკიზმს,— ამბობს ის, — ახასიათებს სამი თავისებურება, რომლებიც მას აყენებენ შეურიგებელ წინააღმდეგობაში ლენინიზმის მიმართ. რა თავისებურებებია ეს? პირველი: **ტროცკიზმი არის პერმანენტული (განუწყვეტელი) რევოლიუციის თეორია.** მეორე: ტროცკიზმი არის უნდობლობა ბოლშევიკური პარტიულობისადმი, მისი მთლიანობისადმი, მისი მტრობისადმი ოპორტუნისტული ელემენტების მიმართ. მესამე: ტროცკიზმი არის უნდობლობა ბოლშევიზმის ლიდერებისადმი, მათთვის სახელის გატეხის ცდა“ (სტალინი — „ოპოზიციის შესახებ“, გვ. 110).

რაში მდგომარეობს ტროცკის პერმანენტული რევოლიუციის თეორიის დედა აზრი? პირველ ყოვლისა იმაში, რომ ეს თეორია, არასაკმაოდ აფასებს გლეხობის (საშუალო გლეხის) როლს, ის უარყოფს გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის, როლს პროლეტარულ რევოლიუციაში, არა აქვს რწმენა პროლეტარიატის ძალებისადმი, არ სწამს, რომ პროლეტარიატს ყოფნის რევოლიუციონური ძალა, და რეალური შესაძლებლობა გაიყოლიოს მშრომელი გლეხობა სოციალისტური მშენებლობის გზაზე. პერმანენტული რევოლიუციის თეორიის ამ თავისებურებებზე მიუთითებს ამხ. სტალინი თავის შრომაში „ლენინიზმის საკითხები“. „ლენინი ებრძოდა, — სწერს ის, — პერმანენტული რევოლიუციის მომხრეებს არა განუწყვეტელობის საკითხის გამო, ვინაიდან ლენინი თვითონ იდგა რევოლიუციის განუწყვეტელობის თვალსაზრისზე, არამედ იმის გამო, რომ ისინი არასათანადოდ აფასებდნენ გლეხობას, რომელიც პროლეტარიატის უდიდეს რეზერვს წარმოადგენს, იმის გამო, რომ მათ არ ესმით პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა. მაგრამ რუს „პერმანენტელების“ თავისებურება, — აღნიშნავს ამხ. სტალინი, — ამით არ ამოიწურება. ეს თავისებურება აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არასათანადოდ აფასებენ პროლეტარიატის ძალას და უნარს გაიყოლიოს გლეხობა, მათ არ სწამთ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა“. ტროცკიზმის ეს თავისებურებანი იწვევენ პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტულ - ლენინური თეორიის დამახინჯებას, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების უარყოფას. ტროცკისტები ცდილობენ დაამახინჯონ ბოლშევიკური შეხედულებანი ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლიუციის პროლეტარულ რევოლიუციად გადაქცევაზე იმიტომ, რომ დაასაბუთონ ორი კონტრ - რევოლიუციონური დებულება — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და ბოლშევიზმის გადაგვარების აუცილებლობის შესახებ. უდავო ისტორიული ფაქტები გვეუბნებიან, რომ ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციამდე ლენინმა დაასაბუთა თავისი თეორია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გადაქცევის შესახებ, ამასთან ანხორციელებდა მას პრაქტიკულად, პარტიასა და მუშათა კლასს გზას უჩვენებდა ამ მიმართულებით.

ამ დებულების ნათელსაყოფად მოვიყვანოთ ადგილი ლენინის შრომიდან „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლიუციაში“, რომელიც 1905 წელსაა დაწერილი. „პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ - დემოკრატიულ დიქტატურას, — სწერდა ლენინი, — როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად, გააჩნია წარსული და მომავალი. მისი წარსულია თვითმპყრობელობა, ბატონყმობა, მონარქია, პრივილეგიები. ამ წარსულთან ბრძოლაში, კონტრ - რევოლიუციასთან ბრძოლაში შესაძლებელია პროლეტარიატის და გლეხობის „ნებისყოფის მთლიანობა“, ვინაიდან არის ინტერესების მთლიანობა. მისი მომავალია ბრძოლა კერძო საკუთრების წინააღმდეგ, დაქირავებული მუშის ბრძოლა დამქირავებელთან, ბრძოლა სოციალიზმისათვის. აქ ნებისყოფის მთლიანობა შეუძლებელია. **აქ ჩვენს წინაშეა არა გზა თვითმპყრობელობიდან რესპუბლიკისაკენ, არამედ გზა წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკიდან სოციალიზმისაკენ**“. (ლენინი—ტ. VIII, 85).

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, ვინც ტროცკიზმით დაბრმავებული არ არის, რომ ლენინის ამ ციტატაში მტკიცდება ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გადაქცევის საჭიროება. ლენინი ყველა თავის შრომებში მთელი სიცხადით და გარკვეულობით ატარებდა ამ აზრს. ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გადაქცევის ლენინური თეორია აცამტვერებს წყალწაღებული პერმანენტული რევოლიუციის ტროცკისტულ თეორიას. ცნობილია, რომ 1917 წელს, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, ლენინმა დასვა რევოლიუციის მეორე ეტაპზე გადასვლის საკითხი. პარტიამ ჯერ კიდევ ლენინის ჩამოსვლამდე დაიწყო ამ გადასვლის განხორციელება. კიდევ შეიძლებოდა ასეთი ფაქტების გამრავლება, მაგრამ მოყვანილი დოკუმენტებიც ამხელენ ტროცკიზმის კონტრ - რევოლიუციონურ ბუნებას. ისინი ღაღადებენ სლუცკების წინააღმდეგ და ბოლშევიზმის სასარგებლოდ, იმ აქსიომის უეჭველი სისწორის და ურყევლობის სასარგებლოდ, რომ ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით ყოველთვის მტკიცედ იდგნენ ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გადაქცევის თვალსაზრისზე. ისინი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ყოველი ჯურის რეფორმიზმის, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, როგორც ომის წინა პერიოდში, ისე მის შემდეგაც.

სლუცკები თავიანთ ნიღაბაფარებულ ტროცკისტულ გამოსვლებში ლენინიზმის წინააღმდეგ მარტოდ არ არიან. ჩვენს სინამდვილეშიც მოიპოვებიან მსგავსი ფარული ოპორტუნისტები, რომელნიც ამა თუ იმ სახით ცდილობენ გააპარონ ტროცკისტული ნაგავი. საქართველო ამ მხრით რაიმე გამონაკლისს არ შეადგენს. აქაც ვხვდებით ბოლშევიზმის, რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიის, ჩვენი პარტიის ისტორიის ფალსიფიკატორებს. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლომდე ვამხილოთ მენშევიკურ - ტროცკისტული კონტრაბანდისტები.

ფართოდ უნდა გაიშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა კომუნისტებსა და სამეცნიერო მუშაკებს შორის. ეს მოგვცემს საშუალებას, გამოვასწოროთ შეცდომები და წინ წავიდეთ ყველა პრობლემების დამუშავებაში მარქსიზმ - ლენინიზმის თვალსაზრისით.

შევეცადოთ მოკლედ დავახასიათოთ იდეოლოგიური ფრონტის მდგომარეობა საქართველოში ამხ. სტალინის უკანასკნელი წერილით დასმული ამოცანების თვალთახედვით.

(შემდეგი იქნება)

ქ. გორდელაძე.

---

*) წერილი წარმოადგენს გადამუშავებულ სტენოგრამას მოხსენებისას, რომელიც ამხ. ქ. გორდელაძემ გააკეთა თბილისის პარტაქტივის კრებაზე 10 იანვარს.

პარტკონფერენციები

აჭარისტანი

15 იანვარს დამთავრდა საქ. კ.პ.(ბ) აჭარისტანის საოლქო პარტკონფერენცია.

კონფერენციაზე გამომჟღავნდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტების ძველ ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომები.

კონფერენციამ მთავარი ყურადღება მიაქცია ტექნიკური კულტურების განვითარების საკითხებს. კამათიდან გამოირკვა, რომ ტექნიკური კულტურების განვითარება დღემდე არ იდგა აჭარისტანის პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

პარტკონფერენციამ დაავალა აჭარისტანის ადგილობრივ პარტორგანიზაციებს, გააძლიერონ მუშაობა კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცების დარგში.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ბათომის ფაბრიკა-ქარხნებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა ბელადის 6 ისტორიულ მითითებისა და საქ. კ.პ.(ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებების საფუძველზე.

აჭარისტანის საოლქო პარტკონფერენცია მოუწოდებს — აჭარისტანის პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის სიწმინდისათვის აწარმოონ გამანადგურებელი ბრძოლა კონტრრევოლიუციონურ-ტროცკიზმის, ყველა ჯურის ოპორტუნისტების და დამპალი ლიბერალისტების წინააღმდეგ.

დასასრულს აჭარისტანის საოლქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ა. გეურქოვი.

ე. ხუციშვილი.

ტყიბული შ—მპზმჩზოცფზა ყ

9 იანვარს ტყიბულის მაღაროების კლუბში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიონის მეათე პარტკონფერენცია. საპატიო და საქმიან პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. **გ. გიორგობიანის** მოხსენება, მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი; კამათში მონაწილეობა მიიღო 35 ამხანაგმა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ სუსტად სწარმოებს ბელადის 6 ისტორიული მითითების რეალიზაცია რაიონის საწარმოებში, კერძოდ სუსტია ბრძოლა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის სუსტადაა დაყენებული კოლმეურნეობათა მომარაგება. ადგილი აქვს ფასების პოლიტიკის დარღვევას. მაგ.: წონრისიის სოფლის საბჭოში 70 კაპეიკიანი მარილი 2 მანეთად იყიდება, 10 მანეთიანი კალოში კი 12 მანეთად და სხვ.

დასასრულს არჩეულ ქნა რაიკომის ახალი შემადგენლობა.

12 იანვარს შესდგა რაიკომის და რაისაკონტროლო კომისიის პლენუმი.

პლენუმმა რაიკომის მდივნად ერთხმად აირჩია **ამხ. გ. გიორგობიანი**, რაისაკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. **ნაზახტიანი**. გაზ. „ტყიბ. მაღაროელი“-ს პ.-მგ. რედაქტორად არჩეულ იქნა ამხ. **გ. გიორგობიანი.**

ლ. ჯავახიძე, გ. მერკვილაძე.

ამბროლაური

13 იანვარს შესდგა ამბროლაურის რაიკომის და რაი საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმი გახსნა ამხ. **შამშე ლეჟავამ.**

პლენუმმა რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. **პ. ენუქიძე.** საორგ. განყოფილების გამგეთ ამხ. **შ. გურგენიძე,** აგიტმას სექტორის გამგეთ ამხ. **გ. ჭელიძე** და ქალთა სექტორის გამგეთ ამხ. **ო. ხეცურიანი.**

პლენუმმა რაისაკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. **კ. ლომთაძე.**

ნ. შარაბიძე.

ოზურგეთი

3 იანვარს გაიხსნა ოზურგეთის რაიონული პარტკონფერენცია. კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ამხ. **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კიროვი, რუძუტაკი, ტელმანი, ორახელაშვილი, ბერია, მელაძე, ყურულაშვილი, პოლონსკი და ხანჯიანი.**

ხელმძღვანელ ორგანოების არჩევისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კონფერენციას მიესალმენ აბრეშუმის ძაფსალები ქარხნის და კოლმეურნეობების წარმომადგენლები.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. **გ. კილაძის** მოხსენება რაიონული კომიტეტის მუშაობის და მორიგი ამოცანების შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო 80 კაცმა.

12 იანვარს შესდგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის და რაისაკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი. პლენუმმა რაიკომის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. **გ. კილაძე;** საორგ. განყოფილების გამგეთ —ამხ. **შაფაქიძე,** კულტპროპგანყოფილების გამგედ—ამხ. **მემიშვილი.**

პლენუმმა რაისაკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ გამოყო ამხ. **ზ. რუსიძე.**

თელავი

10 იანვარს გაიხსნა თელავის მე-2 რაიპარტკონფერენცია.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მოსმენილი იქნა რაიკომის მდივნის ამხ. **თალაკვაძის** მოხსენება, რაიონული კომიტეტის განვლილი მუშაობის შესახებ.

ამხ. **თალაკვაძის** მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა რაიონის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე ამხ. **ბაკურაძე.**

კონფერენციის მეორე სხდომაზე მოხსენების ირგვლივ გაიხსნა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო 30-მდე ამხანაგმა, კამათში გამოსული ამხანაგები ბოლშევიკური თვითკრიტიკით ამხელდნენ ადგილობრივი პარტიულ ორგანიზაციების მიერ დაშვებულ შეცდომებს.

კონფერენციის მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **თანდილაშვილის** მოხსენება — კოლმეურნეობების ორგანიზაციული - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების და თელავის რაიონში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესახებ. მესამე და მეოთხე სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. **ი. თანდილაშვილის** მოხსენების გარშემო, კამათში მონაწილეობა მიიღო 19 ამხანაგმა.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქ. კ.პ. (ბ) ამიერკავ. სამხარეო კომიტეტს ამხ. **მ. ორახელაშვილის,** საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას ამხ. **ბერიას,** აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას ამხ. **პოლონსკის,** სომხეთის კ.პ. (ბ) ცეკას ამხ. **ხანჯიანს,** საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტს ამხ. **პ. მელაძეს** და გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

დასასრულს არჩეულ იქნა რაიონული კომიტეტი 25 წევრის და 7 კანდიდატის შემადგენლობით, რაიკომის წევრად მხურვალე ტაშის ცემით არჩეულ იქნა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. **პავლე მელაძე.**

საკონტროლო კომისიაში არჩეული იქნა 19 კაცი. რაიონის საკონტროლო კომისიის წევრად არჩეულ იქნა ამხ. **მზარეულაშვილი.**

კონფერენციის დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას წარმომადგენელი გაზ. „კომუნისტი“-ს პ.-მ. რედაქტორი ამხ. **ნიკო კიკნაძე.**

13 იანვარს შესდგა სარაიონო კომიტეტის პირველი პლენუმი, რაისაკონტროლო კომისიასთან ერთად.

პლენუმი გახსნა ამხ. **ნიკო კიკნაძემ.** პლენუმმა რაიკომის ბიუროში აირჩია 7 წევრი და 4 კანდიდატი.

რაისაკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 7 წევრი.

პლენუმმა რაიკომის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. **შ. თალაკვაძე;** საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ ამხ. **ვ. ლუარსაბოვი** და აგიტმასკულტპროპგანყოფ. გამგედ ამხ. **ვ ფეიქრიშვილი.**

პლენუმმა რაიონის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ გამოჰყო ამხ. **დვალი.**

ამხ. **ნ. კიკნაძის** მოკლე სიტყვის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

არ. კოკილაშვილი.

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი

სპარსეთის სასახლის მინისტრი მოსკოვში

მოსკოვი, 15 იანვარი. სპარსეთის სასახლის მინისტრი თეიმურტაში, რომელიც მოსკოვში იმყოფება, დაესწრო საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. მოლოტოვთან გამართულ დარბაზობას, სადაც საბჭოთა კავშირის მთავრობის წევრებიც იყვნენ.

სპარსეთის მინისტრის პატივსაცემად გამართულ სადილზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა და თეიმურტაშმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

ამხ. ლიტვინოვმა აღნიშნა თეიმურტაშის რამდენჯერმე ყოფნა წინად მოსკოვში და ის თვალსაჩინო როლი, რომელიც მან შეასრულა 1927 წ. გარანტიისა და ნეიტრალიტეტის სპარსეთ-საბჭოთა პაქტის და სპარსეთ-საბჭოთა სხვა შეთანხმებების დადებაში. შემდეგ ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა:

„როცა ვიგონებ წარსულს და იმ ეტაპებს, რომლებიც განვლო სპარსეთმა, მე ვამაყობ იმით, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ რადიკალური გარდატეხა მოახდინა და ახალი ერა შექმნა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში. ეს ურთიერთობა მას შემდეგ ვითარდებოდა ორთავე ქვეყნის სრული თანასწორობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე. საკავშ. მთავრობა, დაწყებული იმ დეკლარაციით, რომელმაც გააუქმა მეფის მთავრობის კონცესიები და სესხები სპარსეთში და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორთავე ქვეყნის ახალ ურთიერთობას და მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, ამ პოლიტიკას ანვითარებდა გადაუხვევლად და სავსებით თანმიმდევრობით. თავისი სრული გამოხატულება ამ პოლიტიკამ ჰპოვა 1921 წლის მეგობრობის ხელშეკრულებაში. ამ პოლიტიკის შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ 1927 წლის გარანტიისა და ნეიტრალიტეტის პაქტი და 1931 წლის სავაჭრო ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება უეჭველად შეუწყობს ხელს ორთავე ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას და შექმნის პირობებს კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის ორთავე ქვეყნის სამეურნეო განვითარების ინტერესების ბაზაზე.

მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის მეგობრული პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ანვითარებს თავისი ურთიერთობაში სპარსეთთან და, რომელიც წარმოადგენს მშვიდობიანობის საერთო პოლიტიკის გამოხატულებას, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის უშუალო მეზობლების მიმართ, ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ამჟამად ყველაზე უფრო მეტად ჭირდება მსოფლიოს ყველა ხალხს. ჩვენი ქვეყნების სახელმწ. მოღვაწეების შეხვედრა უეჭველად წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდს ურთიერთ გაგებისათვის მთელი რიგი საკითხების გადასაჭრელად და ორთავე ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის და კავშირის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების ხშირად ჩამოსვლას ჩვენს დედაქალაქში, როგორიცაა დღეს დღევანდელი სტუმარი რომელმაც ბევრი რამ გააკეთა სპარსეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებისათვის“.

დასასრულ ამხ. ლიტვინოვმა დალია სპარსეთის სახელმწიფოს მეთაურის და თეიმურტაშის სადღეგრძელო, აგრეთვე სადღეგრძელო სპარსეთის ხალხის აყვავებისათვის. ამასთან მან სთხოვა თეიმურტაშს გადასცეს სალამი და საუკეთესო სურვილებ სპარსეთის პრემიერს ხოდაიატს და საგარეო საქმეთა მინისტრ ფორუგის.

თეიმურტაშის პასუხი

თეიმურტაშმა მადლობა გადაუხადა ამხ. ლიტვინოვს მისალმებისა და კეთილი სურვილებისათვის და განაცხადა:

„მე ბედნიერი ვარ, რომ ერთხელ კიდევ ვიმყოფები მოსკოვში, სპარსეთის მეგობარი ერის წარმომადგენელთა შორის, რომლებთანაც მე მაკავშირებს პირადი პატივისცემის და მეგობრობის გრძნობა, და ვსარგებლობ შემთხვევით დიდი მადლობა გამოგიცხადოთ გულთბილი მიღებისათვის. მე დიდი კმაყოფილებით ვიგონებ იმ დროს, როცა პირველად ჩამოვედი მოსკოვში მოლაპარაკების გასამართავად, რომელიც დამთავრდა 1927 წლის აქტების ხელისმოწერით და, რომლებმაც კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირეს სპარსეთი და საბჭოთა კავშირი და საშუალება მომცეს მე დამემყარებია პირადი კონტაქტი მის მოღვაწეებთან“.

შეეხო რა სპარსეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხს, თეიმურტაშმა განაცხადა, რომ სპარსეთს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი ოქტომბრის რევოლიუციის შედეგებისა და საბჭოთა რეჟიმის შესახებ, სპარსეთი ესალმება მას, როგორც იმ შევიწროებისა და უფლებების შელახვისაგან განმანთავისუფლებელს, რომელთაც განიცდიდა სპარსეთი ძველად თავისი ჩრდილოელ მეზობლებისაგან.

მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სპარსეთი არასოდეს არ მიიღებს მონაწილეობა იმ პოლიტიკურ კომბინაციებში, რომლებიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ და დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებას, რადგან, ჯერ ერთი, ჩვენ თვითონ ვსარგებლობთ თქვენი გამოცდილების შედეგით და იმავე მიმართულებით ვმუშაობთ. მეორე მხრივ, ვართ რა გამსჭვალული გულწრფელი მეგობრული გრძნობით საბჭოთა კავშირისადმი, გვიხარია მისი წარმატება.

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა სახალხო მეურნეობის განვითარება ხელს შეუწყობს სპარსეთის სახალხო მეურნეობის განვითარებას. მე გეთანხმებით თქვენ, დიდად პატივცემულო მაქსიმე მაქსიმეს ძევ, რომ საბჭოთა კავშირის ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან და მისი მეგობრობა უშუალო მეზობლებთან, რომელთა შორის სპარსეთიც არის, წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობიანობის ძვირფას გარანტიას, და რომ ამ სამშვიდობო პოლიტიკის გატარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს, რომელთა შორის თქვენ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენთ“.

შემდეგ თეიმურტაშმა აღნიშნა, რომ სპარსეთის მთავრობას მისი დარბაზობით მოსკოვში სურდა აღენიშნა, თუ რამდენად დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მეგობრობას და იმედი აქვს, რომ იგი მომავალში განვითარდება.

დასასრულ თეიმურტაშმა გამოსთქვა იმედი, რომ ამხ. ლიტვინოვი ესტუმრება სპარსეთს და დარწმუნებულია იმაში, რომ კონტაქტი საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის კიდევ უფრო განამტკიცებს სპარსეთ-საბჭოთა მეგობრობას.

ამის შემდეგ თეიმურტაშმა დალია სპარსეთ-საბჭოთა მეგობრობისა, საბჭოთა კავშირის ხალხთა აყვავების და მისი მთავრობის წევრების სადღეგრძელო (ადს).

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის

ლონდონი, 15 იანვარი. 12 იანვარს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ამხ. სოკოლნიკოვთან გაიმართა დარბაზობა. დარბაზობას დაესწრნენ ინგლისის იმ უდიდეს სამრეწველო საწარმოთა დირექციების წარმომადგენლები, რომლებიც ამზადებენ საჭირო მოწყობილებას საბჭოთა კავშირის ელექტრო - ტექნიკური, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობისათვის.

დარბაზობის დროს წარმოთქმულ სიტყვებში ორივე მხარე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საჭიროა ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით იმ ფართო შესაძლებლობათა გამო, რომელიც იშლება ინგლისის მრეწველობის წინაშე საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებით.

ორატორებმა აღნიშნეს ის მნიშვნელოვანი წარმატებები, რომლებსაც მიაღწია საბჭოთა კავშირმა ხუთწლიანი გეგმის პირველი სამი წლის განმავლობაში. (ადს).

ამხ. ლარინის გარდაცვალება

მოსკოვი, 16 იანვ. 14 იანვარს საღამოთი მოსკოვში ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა ამხ. ლარინი. ს.ს.რ. კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა შექმნას ამხ. ლარინის დამკრძალავი სპეციალური კომისია და დაკრძალოს ამხ. ლარინი ს.ს.რ. კავშირის ცაკის ხარჯზე.

კრემაცია მოხდება დღეს (ადს).

საბჭოთა დაკვეთები გერმანიაში

ბერლინი, 15 იანვარი. გერმანიაში მყოფ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ცნობებით, საბჭოთა კავშირის იმ დაკვეთების საერთო ღირებულება, რომელიც მიეცა გერმანიის მრეწველობას 1931 წლის იანვრიდან ნოემბრამდე, უდრის 414 მილიონ მანეთს, ნაცვლად 262,25 მილიონი მანეთისა მთელი 1930 წლის განმავლობაში (ადს).

მანჯურიის ოკუპაციის გარშემო

ჩინეთის გენერლებს შორის იწყება ახალი კინკლაობა

ბეიპინი, 15 იანვარი. იაპონიის გაზეთები, რომლებიც გამოდის მანჯურიაში, იუწყებიან, რომ ში იუი-სიანი (ფინ იუისიანის მომხრე) იაპონიის საოკუპაციო ჯართან ბრძოლის საბაბით ცდილობს თავისი ჯარი შანდუნიდან გაგზავნოს ტიანძინსა და ბეიპინში ჩან სუე-ლიანის წინააღმდეგ. გაზეთების ცნობით, ში იუი-სიანი მხარს უჭერს ნანკინსა (ადს).

იაპონელებმა დაიკავეს ტუნლიაო

მუკდენი, 15 იანვარი. გუშინ იაპონიის ჯარმა 1.000 კაცისაგან შემდგარ პარტიზანულ რაზმთან ბრძოლის შემდეგ დაიკავა [illegible] რკინის გზის უკანასკნ[illegible] (ადს).

ინტერვენტების ახალი მუქარა

ბეიპინი, 15 იანვარი. იაპონიის აეროპლანმა, რომელიც ყუმბარებს უშენდა ხინსიანს, ჩამოყარა პროკლამაციები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ თუ ბინსიანის მთავრობამ უარი სთქვა თვითლიკვიდაციაზე, მისი ლიკვიდაცია მოხდება შეიარაღებული ძალით.

ჩანჩუნსა და ხარბინს შუა გირინის ძველი დაჯგუფების ჯარებს ყუმბარები დაუშინა იაპონიის ესკადრილიამ (ადს).

ახალი ასიგნოვები მანჯურიის შემდგომი ოკუპაციისათვის

ტოკიო, 15 იანვარი. იაპონიის მთავრობა იხილავს საკითხს 20 მილ. იენის გაღების შესახებ მანჯურიის ექსპედიციის ხარჯების დასაფარავად 15 იანვრიდან მარტის ბოლომდე (ადს).

ჩან სუე-ლიანის მთავრობის ლიკვიდაცია

შანხაი, 15 იანვარი. ჩან სუე-ლიანის მუკდენის მთავრობა, რომელიც ამჟამად ლუანჯოუში (შანხაი-გუანის სამხრეთ-დასავლეთით) იმყოფება, ახდენს თავის საქმეების ლიკვიდაციას (ადს).

ამხ. ქრისტეფორე ვასაძის ხსოვნას

14 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი ამხ. ქრისტეფორე აკაკისძე ვასაძე.

ამხ. ქრისტეფორე დაიბადა 1886 წელს, სოფ. გონების კარის (გურია) ღარიბისა გლეხის ოჯახში. სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან დაიწყო დაქირავებული მუშაობა. 1905 წლიდან ამხ. ქრისტეფორე ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში, ამავე წლიდან შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში, სადაც სიკვდილამდე გმირულად იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზის გასამარჯვებლად.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამხ. ქრისტეფორე იყო სოფ. გონების კარის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე, შემოქმედის სათემო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1925 წლამდე ამხ. ქრისტეფორე იყო ოზურგეთის —სარაიონო სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის წევრად, ხოლო 1925 წლიდან 1926 წლამდე იგი იყო [illegible] სარაიონო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ. 1926 წლიდან 1931 წლის პირველ აპრილამდე კი ოზურგეთის სარაიონო სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ. რის შემდეგ იგი არჩეულ იქნა ოზურგეთის ქალაქის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ, რაიკოოპკავშირის გამგეობის წევრად.

ამხ. ქრისტეფორე აგრეთვე იყო საქ. კ.პ. (ბ) ოზურგეთის რაიკომის ბიუროს და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წევრი. იგი დაკისრებულ მოვალეობას მუდამ ბოლშევიკურად ასრულებდა, რითაც მან ოზურგეთის რაიონის მშრომელებში დაიმსახურა განსაკუთრებული ნდობა და სიყვარული.

უკანასკნელად ამხ. ქრისტეფორეს ინიციატივით ოზურგეთში მოეწყო საგარეუბნო მეურნეობები, რომლის სამუშაოებზე გაციებდა და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ამხ. ქრისტეფორეს სახით ჩვენმა პარტიამ და კერძოთ ოზურგეთის რაიონის კოოპერაციამ დაჰკარგა უდრეკი ბოლშევიკი, რომელიც მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზის ყოველგვარი გამრუდების წინააღმდეგ. ჩვენ, ამხ. ქრისტეფორეს თანამებრძოლები გავაგრძელებთ ქრისტეფორეს მიერ დაწყებულ საქმეს და კიდევ უფრო შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ი. ტულუშ, პ. ჩხარტიშვილი, ი. კეჟაღმაძე, ა. ბოლქვაძე, გ. ჯაში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს სტალინის სახელობის ქუთაისის იმ პარტკურსის კურსანტებს, რომლებიც ამ ჟამად მოთავსებულია ფოთში — საქ. კ.პ.(ბ) ფოთის რაიკომის შენობაში, გამოცხადდნენ არა უგვიანეს 18 იანვრისა. მეცადინეობა დაიწყება ა.წ. 26 იანვარს. იმ ამხანაგების საქმე, რომელნიც არ გამოცხადდებიან, გადაეცემა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს **ორჯონიკიძის სახელობის ცენტრალურ პარტსკოლის ყველა კურსანტებს გამოცხადდნენ ქალ. ქუთაისში** (III ინტერნაციონალის ქუჩა) **არა უგვიანეს ა.წ. 19 იანვრისა.**

მეცადინეობა დაიწყება ა.წ. 17 იანვარს.

იმ ამხანაგთა საქმე, რომელიც არ გამოცხადდებიან, გადაეცემა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

17 იანვარს, ნაშუადღევის სრულ 2 საათზე საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის - მუშგლეხინის საორგანიზაციო განყოფილებაში ამხ. გვანცელაძის კაბინეტში დანიშნულია თათბირი გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის მომზადების შემოწმების რეიდის საკითხზე.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: სიხარულიძე (პროფსაბჭო), აზარაშვილი (კოკმავშირის ცენტრ. კომიტეტი), ლომთათიძე (მიწსახკომი), ბარამიძე (კოლმეურნცენტრი), ჰოჭუა (გაზ. „კომუნისტი“), მაღულარია („მუშა“), გალკინი (ტიფლისკი რაბოჩი“), კაკურია („კოლექტივიზაცია“), ასლანიანი („პროლეტარი“), ხანჯაბეკოვი („ენი კენდ“).

—:—

საღამოს 7 საათზე ამხ. სტალინის სახელობის კლუბის შენობაში პლეხანოვის პრ. № 123 შესდგება გაერთიანებული კონფერენცია ქალ. თბილისის ტრანსპორტზე მომუშავეებისა მილიციის თანამშრომლებთან ერთად: დღის წესრიგი: საქ. - გზა-ტრანსის მოხსენება და მოძრაობის განყოფილების თანამოხსენება — ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ.

—:—

დღეს, 17 იანვარს, საღამოს 7-საათზე რკ. გზის მე-8-ე სკოლის შენობაში პლეხანოვის პრ. № 136 შესდგება სტალინის სახელობის განათლების მუშაკთა კომუნერგიის დახურული სხდომა. პარტწევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს რადიოგაზეთის მდივანს ამხ. ბრეგვაძეს გამოცხადდეს ამხ. დემეტრაძესთან (რაიკომში) დილის 10 საათზე.

„ფერო-მარგანმშენი“ დამკვრელი მშენებლობა

მოსკოვი, 15 იანვარი. მოსკოვში მყოფმა „ფერომარგანმშენის“ უფროსმა ამხ. კალანდაძემ საბჭოთა კავშირის დეპეშა-თა სააგენტოს თანამშრომელს აცნობა, რომ მან ცენტრში შესძლო მშენებლობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხების გადაჭრა. **სათანადო ორგანოებმა ფერომარგანმშენი მიაკუთვნეს ისეთ დამკვრითი მშენებლობათა რიცხვს, რომლებიც უნდა ამუშავდეს მიმდინარე წელს. მშენებლობა გადაყვანილია აგრეთვე მასალით ცენტრალიზებულ მომარაგებაზე.** დღემდე მშენებლობა მასალას ღებულობდა ამიერკავკასიის საერთო ფონდიდან მეტად არა საკმაო რაოდენობით, რაც იწვევდა გაცდენას და მუშაობის ტემპების შეფერხებას.

ფერომარგანმშენისათვის ცენტრალიზებულ ფონდებიდან გამოყოფილია 80.000 კუბომეტრი სხვადასხვა ხე-ტყის მასალა, 450 ტონა საარმატურო რკინა, 35 ტონა რკინის კოჭები, 400 ტონა რელსი, 800 ტონა თუჯის მილები წყალსადენისათვის და სხვ.

მასალის ეს რაოდენობა სავსებით უზრუნველჰყოფს მუშაობის დაჩქარებული ტემპებით გაშლას და მისი ვადაზე დამთავრებას. **მთელი მასალა გამოგზავნილ უნდა იქნას იანვრის განმავლობაში.** იმ ადგილებში, საიდანაც უნდა გამოიგზავნოს მასალა, უკვე გაგზავნილია სპეციალური მუშაკები, რომლებიც მეთვალყურეობას უწევენ მასალის სასწრაფოდ გამოგზავნის და მისი გადმოზიდვის საქმეს. გზათა სახ. კომ. ხაზით უკვე გაცემულია განკარგულება, რათა **ფერომარგანმშენის ტვირთს რიგს გარეშე დაეთმოს ვაგონები.** ფერო-მარგანეცის ქარხნისათვის საჭირო ძირითადი საიმპორტო და საბჭოთამოწყობილობის დაკვეთა უკვე მთლიანად განაწილებულია ქარხნებს შორის. მოწყობილობის ნაწილს მშენებლობა მიიღებს ჯერ კიდევ მიმდინარე კვარტალში, ხოლო და ნარჩენს—მეორე კვარტალში. ამრიგად შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ თუ შემდეგში მასალა თავის დროზე იქნა გამოგზავნილი და ქარხნებმაც დროზე ჩაგვაბარეს მოწყობილობა, ჩვენ შევძლებთ ავამუშაოთ ქარხანა დაწესებულ ვადაში და მიმ-დინარე წელსვე მივცეთ ჩვენს ქვეყანას პირველი 20.000 ტონა პროდუქცია (ადს).

გაზეთების რედაქციების თათბირი

გაზ. „პრავდა“-ს რედაქციის ა-კ. წარმომადგენლობა ბეჭდვითი სიტყვის სექტორთან ერთად

17 იანვარს, დილის 10 საათზე „პრავდა“-ს წარმომადგენლობის ბინაზე იწვევს ყველა

სამხარეო, რესპუბლიკანურ, საქალაქო და საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების რედაქციების თათბირს, რომელიც გაიმართება თბილისში.

თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1. მუშგლეხკორთა მოძრაობის გარდაქმნა იმნაირად, რომ მოხდეს მისი ამოცანების დიფერენციაცია სოციალისტური მშენებლობის სხვა-დასხვა დარგების მიხედვით (გაზეთების რედაქციების მიერ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის დადგენილების პრაქტიკული ანხორციელების შედეგები).
2. მიმდინარეობა კონკურსისა, რომელიც გამოუცხადა „პრავდა“-მ კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საქმეში გაზეთების უკეთეს მონაწილეობაზე.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს, „მოლოდოი რაბოჩი“-ს, „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს, „კოლექტივიზაცია“-ს, „პროლეტარ“ ის. „ენი-კენდ“-ის, რადიო-გაზეთის, „ჩვენი საყვირი“-ს, „წითელი დეპოელის“, „რეგულიატორ“-ის, „მოლოტ“-ის, „ბიუგელ“-ის და „წითელი მეტყვე“-ს რედაქციების წარმომადგენლები ვალდებული არიან გააკეთონ თვითეულ ზემოაღნიშნულ საკითხზე მოკლე მოხსენება კონკრეტული მასალით.

„პრავდა“-ს ა-კ. წარმომადგენლობა.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის სექტორი.

ორშაბათს, 18 იანვარს, საღ. 6 საათზე

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქცია იწვევს

დამკვრელა მუშკორთა საქალაქო კრებას.

კრება შესდგება „კომუნისტი“-ს რედაქციის მუშკორთა დამკვრელი ბრიგაოეზის სექტორში (რუსთაველის პროსპექტი № 16).

„კომუნისტი“-ს მუშკორთა დამკვრელი ბრიგდდების სექტორი.

სახელმ. ოპერა

17 იანვ. 1 აბ. 8 წ.	18 იანვ. 4 აბ. 6 წ. ნ. ქ. პეჩკოვსკის მონაწილეობით	19 იან. 3 აბ. 8 წ.
დაისი	**ევგენი ონეგინი**	**ტარას-ბულბა**

18 იან. დღლ. მე-2 წარ. კუზიანი კვიცი ბილ. იყიდ. დას. დღ. 12-15 წ. აბონენტები, რომელთაც არ გადაუხდიათ 15 წარმოდგენიანი აბონემენტის მე-6 შესატანი და 10 წარმოდგენიანი აბონემენტის მე-5 შესატანი წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებულნი. შესატანი მიიღება ყოველდღე 11-დან 2-მდე და 6—8 საათამდე. ნ. 160

რუს. თეატრი ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით

17 იანვარს

აბონემენტის გარეშე

განგაში

ვისაც მეხუთე გადასახადი არ გადაუხდია, წარმოდგენაზე არ იქნება დაშვებული. ნ. 164

სახ. დრამა სსსრ. სახ. არტ. კ. მარჯანიშვ. ხელმძ.

18 იან. 9 აბ. 5 წ.	19 იანვ. ხელოვნ. სახახლ. ფონდის გასაძლიერებლ.	20 იანვ აბ. გარ.
სახლი მტკვრის პირას	**ურიელ აკოსტა**	**რომორ** ბეგლარი — უშან. ჩხეიძე

უნდა იყოს შემოტანილი მე-5 გადასახადი. 3—1 ნ. 152

სახ. ცირკი დასაწყ. 8 15 წ.

დღეს ახალი პროგრამა

ხელოვნების სახახლის საკავშირო დღე

განსაკუთრ. შერჩეული პროგრამა

3 განყოფილება

მონაწილეობს მთელი დასი

ი. 159 ხვალ 18 დეკემბერს დღის წარმოდგენა.

ხმოვანი კინო
ოქტომბერი (ყ.-აპოლო)
სეან. 12,2,4,6-30,8-30,10-30.

საღამოს კინო
სპარტაკი
სეაი. დას. 6. 7-30, 9, 10-30.

დღის კინო
სპარტაკი
სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.

კინ დამკვრელი
(ყოფ. პალასი)
სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.

რ. ლიუქსემბურ. სახ.
(ყოფ. მინიონი)
სეან. დას. 6-30, 8, 9-30, 11.

კინო დარბაზი
სეაი. დას. 6, 7-30, 9. 10-30.

დადგმის უკანასკნელი დღეები
მხატვრ. ფილმი
ახალი სხოვრებისაკენ

ახალი სურათი
მარილიანი ბიჭები

ჰაროლდ ლოიდი ახალ კომედიაში
შიში ქალისადმი

ახალი მხატვრული სურათი
მირაჟი
მის მენდ პირველი სერია.

გან. განყოფილების სკოლის ასაქამდე ალზრ. მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე

განცხადებების მიღება გაგრძელებულია პირველ თებერვლამდე ქართ., რუს. და სომხ. სექტორებზე. განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოადგინონ: 1) სოციალ. მდგ. მოწმობა, 2) გან. ცენზის მოწმობა, 3) სოც. წარმოშობის მოწმობა.

მისამართი: თავისუფლების მოედანი განათლების განყოფილება მე-3 სართ. ოთახი № 92.

ნ. 162 გან. განყ.. გამგე: ქაცარავა.

18 იანვარს, დილის 10 საათზე „მკერავტრესტი“

დიდუბეში (მაუდის ფაბრიკის პირდაპირ, რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა) უერის საფუძველს ახალ სამკერვალო ფაბრიკას და იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრში ზეიმით აღნიშნავს

სამკერვალო წარმოების მიერ ხუთწლედის ვადაზე ადრე (სამ წელში) შესრულებას.

ვთხოვთ ორგანიზაციებს და თბილისის მსხვილ ფაბრიკებს გამოგზავნონ წარმომადგენლები ზეიმზე მონაწილეობის მისაღებათ, დაგზავნილ მოსაწვევ ბარათების თანახმად.

2—1 ნ. 159 **ორგკომისია.**

სახელმძღვანელოების ავტორების საყურადღებოთ

სახელგამის სასწავლო პედაგოგიური სექტორი აცხადებს, რომ ოთხწლედების ყველა ჯგუფის სახელმძღვანელოები განსახილველად უნდა იქნას სექტორში წარმოდგენილი არა უგვიანეს ა.-წ. 20 თებერვლისა.

სასოფ.-საქარხ. შვიდწლედების და კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლების სახელმძღვანელოები **1-ლ მარტამდე.**

აგრეთვე საჭიროა ყველა ტიპის და საფეხურის სკოლის სახელმძღვანელოს ავტორმა, რომელსაც განზრახვა აქვს რაიმე სახელმძღვანელოს შედგენა 25 იანვრამდე აცნობოს ამის შესახებ სახელგამს

სასწ.-პედაგ. სექტ. გამგე **დ. ორაველიძე.**

2—1 ნ. 163

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება.
მიღ. დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა“-ს პირ დაპირ, ტელ. 12—67.
25—16 8004

ექიმი
ს. ი. ანდრეევა
დაბრუნდა
შიგნითა სნეულებ. სპეც. ჯირკვლების ⚘ სახსრების სნეულებანი.
ავადმყოფ. მიღება 6-7 ს. ელბაქიძის დაღმ. 29. (ყ. ვერის ხიდთან)
25—11 9018

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილ., ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრ. სისუსტ. მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღ. დილ. 6—11 ს. საღ. 5-8 ს. ჭინოშვილის ქ. (ყ. ალექსანდროვის) № 5.
25—12 8198

ექიმი
ა. დ. ულენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8.
0—7

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

კოოპერატივის წიგნაკები: ისიდორე ხაჩიძესი, ნინა ხაჩიძესი, ელენა ნაცვლიშვილის, ერმილე ბართაიასი, ნიაზ აბრამ ოღლის № 1753, ვარვარა მირიანაშვილის № 63254, ნიკოლოზ ტურაშვილის. **კავშირის წიგნაკები:** სერგო ჩხიკვაძის, ელენა ნაცვლიშვილის, დავით ხარჩილავასი № 13 28422, ილარიონ უშვერიძის № 5050. **სამხედრო წიგნაკი:** აკაკი მხეიძის. **მეტრიკული მოწმობები:** არტაშა ნაგელიშვილის № 5061. ილიკო ჯავახიშვილის. **სხვა და სხვა საბუთები:** რაიონ. კოოპ. საწევრო წიგნაკი № 251554 ალექსანდრე ვაჩნაძის, მუდმივი ტრამვაის ბილეთი გრიგოლ გურ ენიძის, ქორწინების მოწმობა ავალიშვილის, რკ. გზის დუბლიკატი ბარო დოლიარი 30 წ. № 83331 „კონკორდია“-სი. კამოს სახელობის სასწავლებლის დამთავრების მოწმობა გრიგოლ მოსიძის. № 60

დამწუხრებული გრიგოლ ლორთქიფანიძე თავისი ოჯახით და დებით იუწყება დაუვიწყარი მამის

სპირიდონ (სიბიტო) თეიმურაზის-ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 იანვარს 2 საათზე სოფ. ისრითში (ვანის რაიონი). 487

ღრმად დამწუხრებულნი: თინა და ნიკოლოზ ანანიაშვილები იუწყებიან მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ ბიძის

ამბაკო ბუბუას-ძე მგელაძის

გარდაცვალებას. 493

უახლოესი ამხანაგები: გიორგი მელუა, საბა ხუციშვილი, იაგორ მახარაძე, ილიკო კარეგიშვილი და გიორგი გვარჯალაძე ულრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ, ძველი ბოლშევიკის და სამაგალითო მუშაკის

ქრისტეფორე ვასაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 496

კოოპერატივის ცენტრალური მაღაზიის თანამშრომლები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ დაუვიწყარი მუშაკის ძველი ბოლშევიკის და გამოცდილი კოოპერატორის ოზურგეთის კოოპ. გამგეობის თავმჯდომარე

ქრისტეფორე აკაკის-ძე ვასაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 501

ოზურგეთის კოოპერატივის თანამშრომლები: ჯაყელი, დოლიძე, თავაძე, ესაძე, წულაძე, ებანოიძე, მგელაძე, ესაძე, მდინარაძე, მემარნიშვილი, ბერიძე, გირკელიძე, მორჩილაძე მწუხარებას გამოსთქვამენ გამგეობის თავმჯდომარის ძველი ბოლშევიკის

ქრისტეფორე ვასაძის

გარდაცვალების გამო. 501

ამხანაგები: კილაძე, ნიკოლაიშვილი, შაფაქიძე, მამეიშვილი, რუსიძე, სულთანიშვილი, გობრონიძე, ქილიფთარი, გოგუაძე, სოსელია, ლალაძე, მეგრელიშვილი, წერეთელი, მალაზონია, უჯმაჯურიძე, სიმვულიდი მწუხარებით იუწყებიან ძველი ბოლშევიკის

ამხ. ქრისტეფორე ვასაძის

უდროოდ გარდაცვალებას, 506

ოზურგეთის რაიონის პარტიული კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი რაიკომის ბიუროს წევრი ამხ.

ქრისტეფორე აკაკის-ძე ვასაძე

დასაფლავება 19 იანვარს, შემოქმედში. 505

შალვა ცოლით მაროთი ლომინაძე, არჩილ ცაგარეიშვილი უთანაგრძნობენ გოგი და კატუშა რახმაძეს ძვირფას

პატარა ეთერიკოს

დაკარგვის გამო. 502

დამწუხრებული მამა გიორგი, დედა კატუშა, ბაბუა სამსონი, ბებია ვარდო რახმაძეები, მელიტონ, ლიდა ცეცხლაძეები იუწყებიან

პატარა ეთერიკოს

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ხომასურიძის ქუჩა № 1, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 497

მშობლები: მიხეილ და კატო. ძმები: ონოფრე. გრიშა, გიორგი და პეპე ქმრით, ბიძები: ივლიანე, პლატონ, შალვა რამიშვილები იუწყებიან მათთვის ძვირფას

აკაკი ბარამიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება ზემო სურებში 19 იანვარს. 493

ვ. წულაია, ო. ქვარცხავა, გ. ტორდანავა, ს. თოდუა, ს. ხურცილავა, აკაკი წულაია, სევერიანე ბერიშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ენერგიული კომკავშირელის

იროდიონ გიორგის-ძე ჯანაშიას

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა დღეს, 17 იანვარს სოფ. ნამკოლოუში. 500

დამწუხრებული მამა გიორგი, დედა ბარბალე, ძმა ქაჯამან, რძალი ოლია, ძმისშვილები: სულიკო და ალათი, სიძე ვასილ ბასილაია ცოლშვილით იუწყებიან დაუვიწყარ

იროდიონ გიორგის-ძე ჯანაშიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 იანვარს, ს. ნამკოლოუში. 500

„ა/კ.—ენერგოს“ ეხერგეტიული საფ. საქ. სკოლის პირველი კურსის „ა“ ჯგუფი იუწყებიან დაუვიწყარ ამხანაგ მოწაფის

ამროსი გერასიმეს-ძე რამიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 18 იანვარს, 4 ს. ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 495

მამა გერასიმე, ⚘ მარუსია, ძმები: გრიგოლ, შალვა და ანდრო რამიშვილები, დეიდა მარო, ბიძა თედორე შათირიშვილები იუწყებიან

ამროსი გერასიმეს-ძე რამიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 18 იანვარს, 4 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფ.

დამწუხრებული ძმა სანდრო ცოლი ელენათა, შვილებით: მარუსა და სულიკო გაბელიები გამოსთქვამენ ულრმეს მწუხარებას მათთვის ძვირფას

გერასიმე გაბელიას

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 19 იანვარს, 4 საათზე, გამოსვენება ნინოშვილის შესახვევი № 6. 161

ღრმა დამწუხრებული და მინადორა, ქმარი ხესტორით, შვილებით: არჩილ, ლუბა, ნადია, დარეჯანი და თინა არუშიძეები დასტირიან საყვარელ და დაუვიწყარ

გერასიმე გრიგ.-ძე გაბელიას

უდროოდ დაკარგვას. ნ. 161

დამწუხრებული ცოლი ანეტა, შვილები: თამარა და შოთა გაბელიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

გერასიმე გაბელია

დაკრძალვა ქუთაისში 19 იანვარს, 4 საათზე სამოქალაქო პანაშვიდი დღეს. 161

მშობლები ლავრენტი ⚘ ზინა, ვენერა, მაცუნა ლევანი, კოლია აბჟანდაძეები იუწყებიან, რომ 16 იანვარს სახერ. ში გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვილი

პაშურა (პალინა) აბჟანდაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 483

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტი იუწყება, რომ ტრაღიკულად დაიღუპა ერთერთი საუკეთესო მუშა, აქტიური მუშაკი

კოლია შუბაშვილი

გამოსვენება 18 იანვარს. მუხრანის ქ. № 11, 3 საათზე, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 504

სერგო ქორიძე, მიშა კახიანი მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 14 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ტრაღიკულად დაიღუპა უგულითადესი ძმა და სიყრმის მეგობარი

კოლა შუბაშვილი

დაკრძალვა 18 იანვარს. 503

მარტვილის ჩაის სექცია და რაიონში მომუშავე ჩაის აგროპერსონალი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ენერგიით აღსავსე ჩაის აგროტეხნიკოს

იროდი ჯანაშიას

უდროოდ დაკარგვის გამო. 499

სასადილო „პალასის“ თანამშრომლები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ თანამშრომელ ნიკოლოზ არჩვაძის ოჯახობის

მატრონა მიხეილის-ას. არჩვაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს 4 საათზე თვითეების ქ. № 46 კუკიის სასაფლაოზე. 492

დამწუხრებული მშობლები: ნინო და კოსტა გრიგოლიები იუწყებიან მათთვის ძვირფასი ეოთადერთ შვილის

ზურაბი კონსტანტ -ძე გრიგოლიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 იანვარს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 ნახ. საათ. ლოტკის ქ. № 7. 473

გაუბედურებული და თავალ ცრემლიანი: ცოლი მანია, შვილები: კვაზუნა და ცუცქა იუწყებიან, რომ მათთვის ძვირფასი და ძველი მასწავლებლის

პროკლე ელისეს-ძე დევიძის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 19 იანვარს, სოფ. დიღოჯიხაიში. 494

დაჲითი. ბადუ, ძაბული, სამსონი, ვლადიმერი, ტერენტი, პეტრე, ლენა, ცაცუ, ბადლუ, ოლია, ქეთო, ბიქტორი, ბიძინა, თამარა თოფურიძეები დასტირით უდროოდ გარდაცვლილ

დათიკო ალექსანდრეს-ძე თოფურიძეს

სასაფლავება დღეს, ს. დიდ-ჯიხაიში. 441

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 959